პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
27 მაისი
1940 წ.
№ 120 (5821)
ფასი 10 კაპ.

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ისტორიული ღონისძიება

ერთი წლის წინათ 1939 წლის 27 მაისს, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ბოლო მოუღო იმ სერიოზულ დამახინჯებებს, რასაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში.

საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის საფუძველია, მაგრამ განიავებისა და დატაცებისაგან ამ მიწების დაცვას აღნიშნული დადგენილების გამოტანამდე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. პარტიამ და მთავრობამ სასტიკად დაჰგმეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების მიმართ ანტისაკოლმეურნეო და ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულება და დასახეს კონკრეტული გზები კოლმეურნეობათა რიგებში მყოფი წამლეჯური ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დარღვევის გზით კოლმეურნეობათა საზიანოდ ახერხებდნენ პირადი მეურნეობის გაფართოებას, ფორმალური გაყოფის საშუალებით დამატებითი ნაკვეთების მიღებას, საკარმიდამო მიწების იჯარით გაცემას და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამ დადგენილებაში მოგვცეს დამახინჯებათა გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების და კოლმეურნეობების შემდგომ მუშაობას.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილების ურყევად განხორციელებისათვის. კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების, აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა მიწების აზომვა ყველგან მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ნიშნით ჩატარდა. აზომვის შედეგად 135.955 საკოლმეურნეო კომლს აღმოაჩნდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დაწესებულ ნორმაზე მეტი 42.748 ჰექტარი მიწა. 81.180 ერთპიროვნულ მეურნეს და კოლმეურნეობის სხვა არაწევრს აღმოაჩნდათ გარდამეტი მიწა 72.563 ჰექტარის რაოდენობით.

ჩამონაჭერი გარდამეტი მიწებიდან საქართველოს კოლმეურნეობებს სულ 115.311 ჰექტარი მიწის ფართობი მიეზომათ. მათ შორის 75.698 ჰექტარი საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწების ფონდში, ხოლო 39.613 ჰექტარი მიწის საკარმიდამო ფონდში. პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად ჩატარდა კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწების ზუსტი გამიჯვნა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებიდან, მოხდა მრავალნაკვეთიანობის ლიკვიდაცია და სხვ.

საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში მტკიცე წესრიგის დამყარებამ და თითეული შრომისუნარიანი კოლმეურნისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესებამ დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის მაღალ საფეხურზე აყვანას, კოლმეურნეობათა კიდევ უფრო განმტკიცებას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდას.

ამ ისტორიული დადგენილების ურყევად გატარების მეოხებით გასული სამეურნეო წელი საქართველოს კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს კოლმეურნეობებმა 1939 წელს 458.059 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღეს, 91.879 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე წინა წელს. მარცვლეულ და ცერცვოვან კულტურათა საერთო მოსავალი 5.821.021 ცენტნერამდე გაიზარდა, წინააღმდეგ 4.138.990 ცენტნერისა 1938 წელს. ამჟამად საქართველოში 37 მილიონერი კოლმეურნეობაა, 1938 წელს კი მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი 19-ს არ აღემატებოდა.

გასულ წელს საქართველოს კოლმეურნეობებს 53.708 ახალი საკოლმეურნეო კომლი შეემატა. კოლმეურნეთა საერთო რაოდენობის 11,6 პროცენტმა გამოიმუშავა 300 შრომადღეზე მეტი, კოლმეურნეობათა 28,2 პროცენტმა თვითეულ შრომადღეზე გასცა 5 კილოგრამზე მეტი მარცვლეული. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. მაგალითად, გაგრის რაიონის **ლ. ბერიას** სახელობის კოლმეურნეობამ წინა წელთან შედარებით ფულადი შემოსავალი თითქმის ერთიორად გაადიდა. წულუკიძის რაიონის სოფ. წითელი ვარსკვლავის კოლმეურნეობამ შარშან თვითეულ შრომადღეზე 18 მანეთი გასცა, მახარაძის რაიონის **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობამ—15 მან. 50 კაპ. მახარაძის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში ახლა ერთეულები როდია ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც თავიანთი კოლმეურნეობიდან ყოველწლიურად 15.000-20.000 მანეთსა და კიდევ მეტს იღებენ.

ზემოაღნიშნული ფაქტები ნათლად ადასტურებს, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის ისტორიულმა დადგენილებამ კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების საქმეში.

მიუხედავად საერთო წარმატებისა ახლაც არიან ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობები, რომლებიც კვლავ ამახინჯებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას. მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ახლადმიღებულ წევრებს ნორმაზე მეტი მიწა მისცეს, თიანეთის რაიონში ერთ კოლმეურნეობაზე აქტით მიმაგრებული მიწა მეორე კოლმეურნეობას გადასცეს. სამტრედიის რაიონში ზოგიერთი კოლმეურნე ისევ სარგებლობს იმ მიწით, რომელიც მას ნორმაზე ზევით ჰქონდა და ჩამოეჭრა. ლანჩხუთისა და სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში ისევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ამ უყურადღებობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. მიწსახკომმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა შეუნელებელი ბრძოლა უნდა აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ და პარტიისა და მთავრობის ამ ისტორიული დადგენილების ურყევად გატარებით მიაღწიონ კოლმეურნეობათა კიდევ უფრო განმტკიცებას, 1940 წლის გეგმების გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
კიევის ივანე ფრანკოს სახელობის სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატიული თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დრამატიული ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და თეატრალური კულტურის ოსტატთა აღზრდისათვის დაჯილდოებულ იქნას კიევის ივანე ფრანკოს სახელობის სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატიული თეატრი **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 25 მაისი.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 25 მაისის ბრძანებულებით საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში წარმატებით მოღვაწეობისათვის, თეატრის 20 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულია: შრომის წითელი დროშის ორდენით — 6, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 11 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 15 მუშაკი ფრანკოს სახელობის თეატრისა.

უკრაინის სსრ სახალხო არტისტს ამხ. ი. პ. იურეს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სავაჭრო ხელშეკრულება დაამტკიცა იუგოსლავიის მთავრობამ

ბელგრადი, 26 მაისი (საკდესი). იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „საღამოს გაზეთები აქვეყნებენ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ საგანგებო დეკრეტის ტექსტს იუგოსლავიასა და სსრ კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ვაჭრობასა და ნაოსნობას ეხება. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა მოსკოვში 11 მაისს“.

მოსკოველ და აზერბაიჯანელ მწერალთა შეხვედრა

25 მაისს სასტუმრო „მოსკოვის“ მარმარილოს დარბაზში შესდგა აზერბაიჯანის ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა ამხანაგური შეხვედრა დედაქალაქის მწერალთა საზოგადოებრიობასთან. საღამო მოაწყეს აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირმა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მოსკოვის მუდმივმა წარმომადგენლობამ.

შეხვედრა, რაც მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, ნაშუაღამევამდე გაგრძელდა. (საკდესი).

კრება ვეშენსკაიას სტანიცაში

სტანიცა ვეშენსკაია (როსტოვის ოლქი), 25 მაისი (საკდესი). გუშინ კაზაკ და კოლმეურნე ახალგაზრდობის თეატრში შესდგა სტანიცის კოლმეურნეთა და ინტელიგენციის ხალხმრავალი კრება, რომელიც მიეძღვნა წარჩინებული თანამემამულის, მწერალ მიხეილ შოლოხოვის დაბადების 35 წლისთავს. კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ იუბილარს. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს ვეშენსკაიას და მეზობელი ბასკოვსკაიას რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კოლმეურნე-კაზაკებმა.

უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი ამხ. შოლოხოვის საპასუხო სიტყვა.

ესტონეთისა და ლატვიის წიგნის გამოფენა

მოსკოვი. საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად - საკავშირო საზოგადოება ამზადებს ესტონეთისა და ლატვიის წიგნის გამოფენის გახსნას მოსკოვში. გამოფენისათვის ესტონეთიდან და ლატვიიდან უკვე მიღებულია 2.000-ზე მეტი წიგნი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგიდან. ექსპონატთა შორის არის კერძოდ, მუსიკალური ლიტერატურის დიდი რაოდენობა—თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებნი, მუსიკის მცოდნეთა ნაშრომები, კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოცემები.

ი. პაპანინი სოხუმში

სოხუმი. (საქ. კორ.). ამ დღეებში სოხუმში გზად გაიარა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ივანე პაპანინი. პაპანინმა დაათვალიერა ქალაქი, გაეცნო სოხუმის შორსმავალ გლისერ ექსპრესს, ესაუბრა გლისერის კონსტრუქტორ გარტვიგსა და უფროსთა შემადგენლობას, აგრეთვე ეწვია სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშებს და ესაუბრა მათ იმ უდიდესი მუშაობის შესახებ, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებენ ჩრდილოეთის პოლუსის მთლიანად ათვისებისათვის. ფაბრიკის მუშები მას გულთბილად შეხვდნენ.

სომხეთის კოლმეურნეობის დელეგაცია თბილისში

მოძმე სომხეთის სს რესპუბლიკის სოფ. კანაკერის (კოტაიქის რაიონი) ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ლუქსემბურგის რაიონის სოფ. ფახრალოს ბუდიონის სახ. კოლმეურნეობასთან.

25 მაისს თბილისში ჩამოვიდა სოფ. კანაკერის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის დელეგაცია, რომელშიაც შედიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გ. ალექსანიანი (დელეგაციის ხელმძღვანელი), კოლმეურნეობის პარტორგი, სტახანოველი ბრიგადირი ამხ. ო. ვართანიანი, რგოლის სტახანოველი ხელმძღვანელი ამხ. ო. სააკიანი, სტახანოველი ბრიგადირი ამხ. მ. ბაბაჯანიანი და პრესის წარმომადგენლები ამხ. მ. ხალილოვი და ბ. არუსტამიანი.

სტუმრები თავიანთი კოლმეურნეობის ზრდისა და განმტკიცების საუკეთესო მაჩვენებლებით ესტუმრენ მზიურ საქართველოს. კოლმეურნეობა ამჟამად 400 კომლს აერთიანებს. კოლმეურნეობის გასული წლის შემოსავალმა 975 ათას მანეთს მიაღწია. შეჯიბრების პერიოდში კოლმეურნეობამ გააშენა 34 ჰექტარი ვენახი და 8,5 ჰექტარი ხეხილის ბაღი. სტახანოველმა კოლმეურნემ ამხ. მ. მელქონიანმა ვენახის ყოველ ჰექტარზე 20 ცენტნერის ნაცვლად მოკრიფა 60 ცენტნერი ყურძენი. მეაბრეშუმეობამ კოლმეურნეობას გასულ წელს 48 ათასი მან. შემოსავალი მისცა. კოლმეურნე მეაბრეშუმემ ამხ. ლუსიკ სარქისიანმა თვითეულ კოლოფ თესლიდან 104 კგ. პარკი მიიღო. მესაქონლეობის ფერმაში ყოველი 100 მსხვილფეხა საქონელი 98 სულ ნამატს იძლევა, ხოლო ყოველი 100 ცხვარი—110 სულს. კოლმეურნეობამ წარმატებით დაამთავრა საგაზაფხულო თესვა — 7 შრომა-დღეში დათესა 610 ჰექტ. პური და 85 ჰექტ. ქერი, კოლმეურნეები მტკიცედ დგანან შეძლებული ცხოვრების გზაზე. 150 კოლმეურნემ აიშენა ახალი სახლი. სტახანოველმა კოლმეურნემ ამხ. ხ. ავაქიანმა ახალი სახლის მშენებლობაზე დახარჯა 25 ათასი მანეთი, ამხ. ს. ზოჰრაბიანმა — 50 ათასი მან; კოლმეურნეთა სახლები განათებულია ელექტრონით და მორთულია ძვირფასი ავეჯით.

სტუმარ კოლმეურნეთა დელეგაცია შეჯიბრების შედეგების შესამოწმებლად ეწვევა სოფ. ფახრალოს ბუდიონის სახ. კოლმეურნეობას. (საქდესი).

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის შესახვედრად

სახაზო გემებსა და კრეისერებზე, წყალქვეშა ნავებსა და საესკადრო ნაღმოსნებზე, ჩვენი ქვეყნის ყველა საბრძოლო ხომალდზე გაჩაღდა მზადება სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის. მზადებაში ებმებიან მილიონობით საბჭოთა მოქალაქენი, რომლებსაც მხურვალედ უყვართ თავიანთი წითელი ფლოტი და აქტიურად მონაწილეობენ იმაში, რომ ფლოტს ახალი საბრძოლო ერთეულები შეემატოს. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტიკურ სამმართველოში საკდესის თანამშრომელს აცნობეს:

— ყველა ფლოტსა და ფლოტილიაში შემუშავებულია დღესასწაულის გადახდისა და მისი მზადების დაწვრილებითი პროგრამა. 24 ივლისს წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მშრომელებს დაანახვებენ თავიანთ მიღწევებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

განზრახულია ფართოდ მოეწყოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაული დედაქალაქში. ხიმკინსკის წყალსაცავში დილიდანვე გაიმართება სანაღმო კატარღების, ჯავშანკატარღების, კანჯოების, სკუტერებისა და სწრაფმავალი გლისერების პარადი.

პარადში მონაწილეობას მიიღებენ აკადემიური გემების მენიჩბეები, თავდაცვა-ავიაქიმელთა და თავდაცვა-წყლოსანთა კოლონები.

მოსკოველებს ესტუმრებიან წითელდროშოვანი ბალტიკის, ჩრდილოეთისა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები. საღამოს დედაქალაქის ბაღებსა და პარკებში წითელფლოტური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლები გამოვლენ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში სპეციალური გამოფენა გაიხსნება. გადაწყვეტილია აქვე მოეწყოს საზღვაო ავიაციის პავილიონი, სადაც ექსპონირებული იქნება სხვადასხვა ტიპის ჰიდროთვითმფრინავთა მოდელები, საჰაერო ხრახნები, მოტორები, ავიაყუმბარები, ყუმბარმყრელები, სათვითმფრინავო რადიოაპარატურა და სხვ.

გაცხოველებული მზადებაა 24 ივლისისათვის ლენინგრადში. პეტერგოფის სასახლე-მუზეუმის დარბაზებში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვან საბრძოლო წარსულს.

კიროვის კუნძულებზე — კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მზადდება მეორე საინტერესო გამოფენა — „რუსეთის ფლოტის ისტორია“.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის მოეწყობა წყნარი ოკეანის ფლოტისა და ვლადივოსტოკის ფიზკულტურულ ორგანიზაციათა საზაფხულო სპარტაკიადა. 24 ივლისს წყნაროკეანელები ქალაქის მშრომელებს უჩვენებენ საზღვაო და საჰაერო პარადს.

სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღესასწაულის დიდი პროგრამაა შემუშავებული შავი ზღვის ფლოტში. 24 ივლისს იქ გაიმართება დიდი ფიზკულტურული დღესასწაული, წყალზე მოეწყობა კარნავალი. წითელფლოტელები მშრომელებს უჩვენებენ სანაღმო კატარღების იერიშს, კვამლის საბურველის მოწყობას, მყვინთავების მუშაობას, გამანადგურებელი ავიაციის სწრაფ მოქმედებას, სევასტოპოლში გაიხსნება სამხედრო-საზღვაო იარაღის გამოფენა.

24 ივლისისათვის დიდ გამოფენას ამზადებენ ჩრდილოეთის ფლოტის მხატვარი მეზღვაურები. გამოფენა ქანდაკებითა და ფერწერით დაგვიხატავს ჩრდილოეთის ფლოტის საბრძოლო ცხოვრებას, მის ლაშქრობას ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის წყლებში. (საკდესი).

მოვაწყოთ ნათესების გულდასმით მოვლა

სსრ კავშირის მიწსახკომის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ნათესების მდგომარეობის საკითხი და რჩევა მისცა კოლმეურნეობებს მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარონ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოვლის ორგანიზაციის დარგში. კოლეგიამ წინადადება მისცა ყველა რაიონს ჩაატარონ მარცვლეული თავთავიანი კულტურების საადრეო გამარგვლა, აგრეთვე ურჩია კოლმეურნეობებს ბარტყობის დაწყებისას დაფარცხონ საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების ფესვგადგმული ჯეჯილი. საჭიროა ფეტვის მთლიანი ნათესები ორჯერ მაინც გაიმარგლოს, ხოლო ფართომწკრივად ნათესი ორჯერ მაინც დამუშავდეს მწკრივთა შორის და ამასთან კვლებში გაიმარგლოს.

კოლმეურნეობებს წინადადება მიეცათ თავთავიანი კულტურებისა და ფეტვის ნათესებში ფართოდ შეიტანონ დამატებით პირველყოვლისა ადგილობრივი სასუქი, მოაწყონ ბალახების გულდასმით მოვლა გამარგვლისა და დამატებითი სასუქის შეტანის გზით.

მეჭარხლეობის რაიონებისათვის ჭარხლის მაღალი მოსავლის მისაღებად მიცემულია წინადადება მოსავლის აღების მომენტისათვის მიაღწიონ ჭარხლის ნათესების სიხშირეს — არანაკლებ 100 ათას ძირს ჰექტარზე. მისი პირველი გათოხნა აჯეჯილების დღიდან სამ-ოთხ დღეში მაინც უნდა ჩატარდეს, ხოლო გამეჩხერება უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს მეორე წყვილი ფოთლების გამოჩენისა. ჭარხლის ნათესებში სასუქის პირველი დამატებითი შეტანა გამეჩხერებასთან ერთდროულად უნდა მოხდეს.

კოლმეურნეობებს რჩევა ეძლევათ გააუმჯობესონ ბამბის ნათესების მოვლა და 1 ივნისამდე დაამთავრონ მისი გამეჩხერება და პირველი დამუშავება. ბამბის მინდვრები 1 ივლისამდე სამჯერ მაინც უნდა დამუშავდეს მაღალხარისხოვნად. ამასთან საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბამბის ნათესებში მინერალური და ადგილობრივი სასუქის დამატებით შეტანას, სარწყავი წყლის განაწილებისა და სწორად გამოყენების უსასტიკესი კონტროლის ორგანიზაციას. ბამბის მოსავლის გასადიდებლად მიცემულია რჩევა ყველგან უზრუნველჰყონ ამ კულტურის მორწყვა მთელი დღეღამის განმავლობაში და ყოველი მორწყვის შემდეგ ჩაატარონ ღრმა მწკრივთაშორისი კულტივაცია და კვლებში გათოხნა.

სსრ კავშირის მიწსახკომის კოლეგიამ კოლმეურნეობათა ყურადღება მიაქცია ბოსტნეული ნათესების მოვლის გაუმჯობესების საჭიროებას. დეკადის ვადაში უნდა დამთავრდეს ამ კულტურების ჯეჯილის პირველი გამარგვლა და მწკრივთაშორისი დამუშავება. საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული ბოსტნეული ნათესებისა და, პირველ ყოვლისა, სათესლე ნათესების მორწყვა უმარტივესი და მექანიზებული საშუალებებით, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი წყალსატევები.

თავის დადგენილებაში საბჭოთა კავშირის მიწსახკომის კოლეგიამ დაავალა სამიწათმოქმედო ორგანოებს, მტს-ების დირექტორებს და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს დროულად მოაწყონ სოფლის მეურნეობის მავნებლებთან, განსაკუთრებით შაქრის ჭარხლის, ბამბის, სელისა და ზეთოვანი კულტურების მავნებლებთან ბრძოლა. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაჩაღებულია დიდი საქმიანი შემოქმედებითი მუშაობა. დილის 9 საათიდან გვიან საღამომდე გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა ჯგუფები არა მარტო ათვალიერებენ პავილიონებს, არამედ სწავლობენ აქ დაგროვილ გამოცდილებას, დეტალურად ეცნობიან სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების მოწინავეთა მუშაობის მეთოდებს. ჩვენი გამოფენა სადღესასწაულო სანახაობა და გასართობთა ტერიტორია კი არ არის, არამედ დიდი სიბრძნისა და უნარის წიგნია. და გამოფენაზე მოსულნი ხარბად ითვისებენ ამ წიგნის შინაარსს, დაკვირვებით ფურცლავენ მას. დიდი მუშაობა სწარმოებს გამოფენის ლექტორიუმებში. ეს მუშაობა ფართო აუდიტორიას იზიდავს. აი მხოლოდ უკანასკნელ 2 დღეში (20 და 21 მაისს) წაკითხულ მოხსენებათა და ლექციათა არასრული ნუსხა: „მოწინავე მტს-ების სამუშაოთა თვითღირებულება და მისი შემცირების გზები“; „დამხმარე დარგების მოწყობა კოლმეურნეობებში“; „ასფუთოვანთა გამოცდილება“; „კარტოფილის მაღალი მოსავლის მიღების სტახანოვური მეთოდები“; „ცხენის აბორტის მიზეზები და როგორ ავიცილოთ ის თავიდან“.

ექსკურსანტები დიდი ინტერესით ისმენენ ექსკურსიების ხელმძღვანელთა ნაამბობს, აძლევენ მათ უამრავ სხვადასხვა შეკითხვებს. 21 მაისს მთელი საათი გავატარე ნიკოლაევის ოლქიდან ჩამოსულ ექსკურსიასთან, რომელიც საქართველოს პავილიონს ათვალიერებდა. რა შეკითხვებს არ აძლევდნენ ისინი ექსკურსიის ხელმძღვანელს! რომ არაფერი ვთქვათ სუბტროპიკულ მცენარეთა განყოფილებაზე, სადაც მათთვის ყველაფერი სიახლეს წარმოადგენდა, მათ აინტერესებდათ საქართველოს ხორბლის ჯიშების, თუშური ჯიშის ცხენების თვისებები, აბრეშუმის ჭიის გამოკვების ქისტაური მეთოდები, საქართველოს სოფლის საერთო სახე.

21 მაისს საქართველოს პავილიონი 47 ასეთმა ექსკურსიამ ინახულა. ესენი იყვნენ უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ტაჯიკეთის რესპუბლიკების, ნოვოსიბირსკის, ლენინგრადის, კურსკისა და მრავალი სხვა ოლქის კოლმეურნეობათა მოწინავენი. პავილიონის სტუმრებს შორის იყო ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ბარანოვიჩის რაიონის ექსკურსანტთა დიდი ჯგუფი. მნახველთა წიგნში მათ ჩასწერეს, რომ უსურვებენ შემდგომ აყვავებას საყვარელი სტალინის სამშობლოს. ასეთი ჩანაწერების რიცხვი სწრაფად იზრდება. დიდი ფორმატის სქელი წიგნი უკვე თითქმის სანახევროდ შევსებულია. სხვათა შორის, აქ არის საბჭოთა კავშირის გმირის ტრიფონოვის შემდეგი ჩანაწერი: „მზიური საქართველოს პავილიონი განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. ნაყოფის სიუხვე, ქართველ კოლმეურნეთა ხელოვნება და მათი ყოფაცხოვრება წარუშლელად რჩება მეხსიერებაში“.

20 მაისს ჩამოვიდნენ ექსკურსანტები ლუქსემბურგის რაიონიდან. 21 მაისს ისინი გამოფენის გაცნობას შეუდგნენ.

საქართველოს პავილიონი 335.000 კაცმა დაათვალიერა

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საქ. კორ.). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის პირველ 10 დღეში საქართველოს პავილიონი დაათვალიერა 335.000 კაცმა. 24 მაისს, გამოსასვლელ დღეს, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მოაწყდა უამრავი მოსკოველი. დილიდან პავილიონის წინ გამწკრივდა დიდი რიგი. ეს რიგი არ შეწყვეტილა საღამომდე. მრავალ მნახველს ხელში უჭირავს ლამაზი ფერადყდიანი წიგნი, რომელიც დღეს გამოვიდა. ეს არის საქართველოს სსრ პავილიონის გზის მაჩვენებელი. გზის მაჩვენებელში მოცემულია პავილიონის ყველა სტენდის, მასში წარმოდგენილი ყველა მეურნეობის დაწვრილებითი აღწერა.

დიდი წარმატებით სარგებლობს ორანჟერეა, რომელიც გუშინ გაიხსნა. ყველას ყურადღებას იპყრობს ლიმონები და მანდარინები, რომლებიც საუცხოოდ შენახულია ხეებზე გასული წლიდან. პავილიონის დარბაზებში გამოფენილია ახალი ექსპონატები. ეს არის სხვადასხვანაირი ნაწარმი ლერწმისაგან—დაწყებული წიგნის თაროებით და დამთავრებული თხილამურების ჯოხებით. აქვე არის ბზის, კორპის მუხის, ქაფურის ხის ნიმუშები.

მებოსტნეობის სტენდი გაივსო მუხრანის კიტრებით, ასურეთის კარტოფილით, სხვადასხვა ჯიშის ტყემლით, მწვანე ლობიოთი, მუხუდოთი. ორანჟერიაში გახსნილია მეფუტკრეობისადმი მიძღვნილი სტენდი. აქ არის წარმოდგენილი თაფლიანი ფიჭა, სანთელი, ხელოვნური სანთელი და, რაც უმთავრესია, სკა შუშის კედლებით, რომლებშიც ირევა უამრავი ფუტკარი. ფუტკრები გამოდიან სკიდან და შედიან მასში შუშის მილით, რომელიც გადის პავილიონის ფარგლებს იქით. ეს არის განთქმული მეგრული ფუტკარი, რომელიც ფართოდ ცნობილია არა მარტო საქართველოში.

მთელი საქართველო მალე შესძლებს უფრო ახლო და უკეთ გაეცნოს თავის შესანიშნავ პავილიონს. იგი ნახავს მას კინოს ეკრანზე. მოსკოვში ჩამოვიდა საქართველოს კინოქრონიკის ოპერატორი ამხ. აჯიბეგიშვილი და მისი ასისტენტი დეკანოსიძე. საქართველოს პავილიონს მიეძღვნება სპეციალური კინონარკვევი. გადაღებული იქნება აგრეთვე საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სტენდები ბეჭდვითი სიტყვის პავილიონში.

გუშინ საქართველოს პავილიონი დაათვალიერა ექსკურსანტთა ორმა ჯგუფმა ბელორუსიის დასავლეთი ოლქებიდან. მოძმე საქართველოს რესპუბლიკასთან, მისი სოფლის მეურნეობის წარმატებებთან პირველმავე გაცნობამ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ექსკურსანტებმა მოძმე ოლქიდან განაცხადეს: „ჩვენ გაოცებული ვართ ზღაპრულად ლამაზი და მდიდარი ქვეყნით, რომელიც აღორძინდა სტალინური კონსტიტუციის მეოხებით და ადამიანებზე პარტიისა და მთავრობის და პირადად ამხანაგ **სტალინის** მზრუნველობის მეოხებით“. ბელოსტოკის ოლქიდან ჩამოსულმა ჯგუფმა, დაათვალიერა რა პავილიონი, განაცხადა: „სტალინის სამშობლო ფრთებს გვასხამს იმისათვის, რომ დასავლეთ ბელორუსიაშიც ავაშენოთ სოციალიზმი“.

პავილიონის მნახველთა შორის დღეს იყო საბჭოთა კავშირის გმირი, დივიზიის მეთაური ამხ. პოპოვი.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 26 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობის ბანაკის შემდეგს ცნობას: „ფლანდრიაში და არტუაში გრძელდებოდა იერიშები მტრის გარემოცული არმიების წინააღმდეგ, მასთან რკალი მტრის ჯარის ირგვლივ სულ უფრო-დაუფრო მცირდება. მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ განაგრძობს სხვადასხვა პუნქტში მედგარ წინააღმდეგობას. მტრის წინააღმდეგობის უსწრაფესად დაძლევისათვის გერმანიის ავიაცია ბევრ პუნქტში დახმარებას უწევდა სახმელეთო ჯარების მოქმედებას.

ბელგია-საფრანგეთის სანაპიროებზე გერმანიის ავიაცია კვლავ ყუმბარებს უშენდა სანავსადგურო ნაგებობებს ზეებრიუგეში, ოსტენდესა და დიუნკერკში. ოსტენდეში ყუმბარების მოხვედრის შედეგად ცეცხლი წაეკიდა თოფის წამლისა და ნავსადგურის საწყობებს. ერთი ტრანსპორტი ძლიერ დაზიანებულია. ღამით, 24 მაისს, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები მრავალ აეროდრომს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. სანაპიროსთან კალეს რაიონში დაზიანებულ იქნა ორი სავაჭრო გემი თვითეული 5 ათასი ტონა წყალწყვისა, 2 სხვა სავაჭრო გემი და ერთი სამხედრო გემი.

სამხრეთ ფრონტზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გერმანიის ავიაცია განაგრძობდა თავის ოპერაციებს რკინიგზების, საარტილერიო პოზიციების და მტრის ჯარების თავმოყრის პუნქტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ტყეებში.

25 მაისს მტერმა დაჰკარგა 59 თვითმფრინავი, აქედან 19 ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლაში, 17 — საზენიტო არტილერიით, დანარჩენი განადგურებული იყო მიწაზე. გერმანიის 11 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ნარვიკის რაიონში მძიმედ დაზიანდა მტრის ორი სამხედრო გემი. ამ გემებს ცეცხლი მოედო. გუშინ ნარვიკის რაიონში პარაშუტებით გადასხმულ იქნა ახალი ჯარი სამთო-მსროლელი ძალების შესავსებად.

საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლის განცხადებანი

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლის ცნობას. წარმომადგენელმა გუშინ საღამოს განაცხადა, რომ „არ არის საფუძველი პესიმიზმისათვის. მიუხედავად მოწინააღმდეგის მტკიცებისა, მოკავშირეთა არმიები ჩრდილოეთში გარშემორტყმული არ არიან. მათ შენარჩუნებული აქვთ ზღვასთან დაკავშირებული ყველა კომუნიკაცია, საიდანაც ისინი უხვად მარაგდებიან. ქალაქი კალე მაგრად დგას. გერმანიის ჯავშან-სატანკო ნაწილებმა, რომლებიც არასსა და ამიენს შორის არსებულ „ჩიხში“ მცირე რაოდენობით იჭრებიან, იერიში მიიტანეს დასავლეთის მიმართულებით მოკავშირეთა თავმოყრილი ჯარების წინააღმდეგ. ისინი შეაჩერეს სენტ-ომერის რაიონში და მათ მიაღწიეს მხოლოდ ვიმის მაღლობის ზოგიერთ მწვერვალებს არასის ჩრდილოეთ - დასავლეთით. აქამდე გერმანიის ქვეითი ჯარი ვერ შევიდა პიკარდიაში გარღვეულ ადგილას. აღმოსავლეთის მიმართულებით, მოკავშირეთა ჩრდილოეთის არმიების ზონაში გერმანელები დღის განმავლობაში მიადგნენ ახალ პოზიციებს, რომლებიც ბელგიისა და ინგლისის ჯარებს უჭირავთ. გერმანელებმა ერთი თუ ორი იერიში მიიტანეს კურტრეს რაიონში მდინარე ლისთან. ბელგიის ჯარებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს ენერგიული კონტრიერიშით. სომაზე ფრანგების ოპერაციები ხელსაყრელად ვითარდება“.

ომი დასავლეთ ევროპაში
მოკავშირეთა ცნობა

ტური (ენდრისა და ლუარას დეპარტამენტი), 26 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ საღამოს პარიზში ოფიციალურად იუწყებოდნენ: „ჩრდილოეთში მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ჩვენი ჯარი ყველა შეტაკებაში მძიმე ზარალს აყენებს გერმანელებს. მდინარე ენსა და მაასს შორის კვლავინდებურად მეტად გაცხოველებული საომარი მოქმედება სწარმოებს. აქ უკანასკნელ დღეებში ჩვენ მტერზე უპირატესობა გვაქვს.

პარიზი, 26 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, „საფრანგეთის სამხედრო წრეებში გუშინ საღამოს აცხადებდნენ, რომ მდგომარეობა ბულონში ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. იქ სწარმოებს ძლიერი ბრძოლა. ფლანდრიაში ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება“.

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, ღამით 24 მაისს ინგლისის თვითმფრინავები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში, სამხრეთ ბელგიასა და გერმანიაში ყუმბარებს უშენდნენ სატრანსპორტო კოლონებს, გზატკეცილებს, რკინიგზის კვანძებს, მოძრავ შემადგენლობას, ხიდებსა და მტრის თავმოყრილ ჯარებს. მტრის კომუნიკაციები მოშლილ იქნა დიდ ტერიტორიაზე. მტერმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახა. ინგლისის სამი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა. 25 მაისს ინგლისის ყუმბარმშენები ენერგიულად ეხმარებოდნენ ბელგიის, საფრანგეთისა და ინგლისის არმიებს საომარი მოქმედების ზონაში.

პარიზი, 26 მაისი (საკდესი). დღეს დილით გამოქვეყნებულ საფრანგეთის ოფიციალურ კომუნიკეში საომარი მოქმედების შესახებ, ნათქვამია: „მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენს ჩრდილოეთ ფრონტზე. იერიში მარცხით დამთავრდა. ადგილობრივი მოქმედება, რომელიც ჩვენ დავიწყეთ ფრონტზე მდინარე სომთან, ჩვენთვის წარმატებით ვითარდებოდა, და ჩვენ ხელთ ვიგდეთ ახალი პუნქტები მდინარეზე გადასასვლელად. მდინარე ენსა და მაასს შორის აქტიურად მოქმედებს ორივე მხარის არტილერია. მონმედის რაიონში უკუგდებულია მოწინააღმდეგის ძლიერი იერიში“.

საფრანგეთის 15 გენერალი მოხსნილია თანამდებობიდან

ლონდონი, 25 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ საფრანგეთის პრემიერ - მინისტრის სამდივნომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „საომარი ოპერაციის მსვლელობასთან დაკავშირებით, რამაც უკვე გამოიწვია ყველა საომარი მოქმედების ასპარეზზე მთავარსარდლად ვეიგანის დანიშვნა, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა საფრანგეთის არმიის უმაღლეს სარდლობაში. დღეს 15 გენერალი განთავისუფლებულია თავიანთი თანამდებობიდან. მათ შორის არმიების სარდლები, კორპუსების მეთაურები, რამდენიმე მეთაური დივიზიებისა და ოფიცრები, რომლებიც მეთაურობდნენ დიდი შენაერთების ცალკეულ სამსახურს“.

ინგლისის არმიაში გაწვეულთა რაოდენობა

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, სამხედრო სამსახურში 1912 წელს დაბადებულთა გაწვევის შემდეგ, სამხედრო სამსახურში გაწვეულთა საერთო რიცხვი ინგლისში 2 მილიონ კაცს აღემატება.

ბიბლიოთეკა

ინგლისისა და საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციები იტალიაში

ნიუ-იორკი, 25 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ მთელს იტალიაში ავრცელებენ ინგლისისა და საფრანგეთის საწინააღმდეგო ფურცლებს. რომში ეწყობა დემონსტრაციები ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. გაზეთი „ლავორო ფაშისტა“ მკაცრად აკრიტიკებს ვერსალის ხელშეკრულებას და კვლავ დაჟინებით მოითხოვს რომ შესრულდეს იტალიის მოთხოვნები ხმელთაშუა ზღვაში. გაზეთი „კორიერე პადანო“ აცხადებს, „დადგება მომენტი, როდესაც იტალია ჩაერევა ომში გერმანიის მხარესო“.

იტალიის პრეტენზიები პალესტინის მიმართ

ნიუ-იორკი, 24 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს რომაელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იტალიას პრეტენზიები აქვს პალესტინის მიმართ.

23 მაისს რომში გავრცელდა ახალი პლაკატები, რომლებზედაც შემდეგი წარწერა იყო: „გაუმარჯოს იტალიის კორსიკას!“.

იტალიის პრესა ევროპაში წარმოებული ომის შესახებ

რომი, 25 მაისი (საკდესი). გაზეთები კვლავ ფართო კომენტარებს იძლევიან ევროპაში შექმნილი საომარი მდგომარეობის შესახებ. გაზეთი „ტევერე“ 24 მაისის ნომერში სწერს, რომ „ბულონსა და ნარვიკს შორის რომ 100 წყალქვეშა ნავია, საკმარისი იქნება, რათა 6 თვის ვადაში შიმშილი გამოიწვიოს და აიძულოს ინგლისი კაპიტულაცია მოახდინოს. თვით ბრიტანეთის იმპერიის არსებობა სასწორზეა დადებული“.

გაზეთი „ტელეგრაფო“ იმავე რიცხვს სწერს, რომ „საომარი ოპერაციები ინგლისის წინააღმდეგ, უეჭველია, დაიწყება მაშინვე, როგორც კი ლიკვიდირებულ იქნება ან დანებდება ჯარი, რომელიც გარშემორტყმულია ფლანდრიაში“.

გაზეთ „სტამპის“ სპეციალური კორესპონდენტი იმავე რიცხვს სწერს გერმანიის ფრონტიდან, რომ „გერმანიის გეგმა ინგლისის დაკავების შესახებ ითვალისწინებს ინგლისის ყველა სამხედრო ბაზის წინასწარსა და სრულ ლიკვიდაციას. ომს, რომელსაც გერმანიის უმაღლესი სარდლობა აწარმოებს, ჯერ კიდევ არ უჩვენებია მსოფლიოსათვის მთელი ის ახალი რამ, რაც შორსმსროლი არტილერიის ხაზით მოიპოვება. ზოგი რამ ამის შესახებ უახლოეს ხანში გამომჟღავნდება. გერმანელები ემზადებიან ახალი ზარბაზნების დასადგმელად ბელგიისა და საფრანგეთის იმ სანაპიროზე, რომელიც მათ უკავიათ“.

გერმანიის ფულის ნიშნები დაკავებულ ოლქებში

ბერლინი, 25 მაისი (საკდესი). ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ იუწყება: გერმანიის მიერ დაკავებულ ადგილებში შემოღებულია ახალი ფულის ნიშნები, რომლებიც წინათ შემოღებული იყო პოლონეთის საგენერალგუბერნატოროში. ახალი საკრედიტო ბილეთები შემოღებული იქნება ნორვეგიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და საფრანგეთის იმ ნაწილში, რომელიც დაკავებულია გერმანელების მიერ. გამოშვებული იქნება 50,20,5 და 1—მარკიანი ბილეთები. გერმანიაში ჩასულმა მოქალაქეებმა ეს საკრედიტო ბილეთები უნდა შესცვალონ გერმანული მარკებით. ახალი საკრედიტო ბილეთები გამოშვებული იქნება სამი მილიარდი მარკის რაოდენობით. ფულის ნიშნების გადაცვლის დროს დაწესებულია შემდეგი შეფარდება: ერთი ჰოლანდიური გულდენი უდრის 1,5 გერმანულ მარკას, ერთი ბელგიური ფრანკი — 10 გერმანულ პფენინგს, ერთი ლუქსემბურგული ფრანკი — 10 გერმანულ პფენინგს და ერთი ფრანგული ფრანკი — 5 გერმანულ პფენინგს.

ტრედ-უნიონთა ლიდერები ინგლისის მთავრობის სამსახურში

ლონდონი, 25 მაისი (საკდესი). როგორც ვიცით, ომის გაჩაღების შემდეგ შეიქმნა გაერთიანებული სათათბირო საბჭო, რომელიც მეწარმეთა და ტრედ-უნიონთა წარმომადგენლებისაგან შესდგება. ამ საბჭოს ამოცანა არის „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ განხორციელება. მას შემდეგ, რაც მთავრობის რეორგანიზაცია მოხდა და მასში ლეიბორისტები შევიდნენ, ტრედ-უნიონთა ლიდერები გაძლიერებით ეხმარებიან მთავრობას იმ კანონთა გატარებაში, რომლებიც მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს შეეხება. 22 მაისს ტრედ-უნიონთა ლიდერებმა მოიწვიეს გაერთიანებული სათათბირო საბჭოს სხდომა და შრომის მინისტრ ბევინის თხოვნით სპეციალური კომისია გამოჰყვეს, რომელშიც შედის ტრედ-უნიონთა 7 წარმომადგენელი, და რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს ბევინს იმ ღონისძიებათა დამუშავებაში, რომლებიც მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახები კანონიდან გამომდინარეობენ.

O

ლონდონი, 25 მაისი (საკდესი). ტრედ-უნიონთა გენერალურმა საბჭომ გადასდო ტრედ-უნიონთა საბჭოს ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც 25 მაისისათვის იყო დანიშნული, ეს გადაწყვეტილება, როგორც სჩანს, იმით არის გამოწვეული, რომ მრავალმა გავლენიანმა პროფსაბჭომ, მათ შორის გლაზგოს, ლონდონის, მანჩესტერის, ბრედფორდის პროფსაბჭოებმა, ამას წინათ მკვეთრად გაილაშქრეს გენერალური საბჭოს მიერ წარმოებული პოლიტიკის წინააღმდეგ და დაჰგმეს გენერალური საბჭო იმისათვის, რომ იგი მხარს უჭერს საფრანგეთის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას.

საჰაერო დესანტები თანამედროვე ომში

თანამედროვე იმპერიალისტურ ომში ომის წარმოების ერთერთ ახალ ფორმას წარმოადგენს საჰაერო დესანტების გამოყენება. დაიწყო რა ომი, გერმანიის სარდლობა მაშინვე შეეცადა საბრძოლო ძალად გამოეყენებინა საჰაერო დესანტები.

ახლანდელ ომში გერმანელთა მიერ საჰაერო დესანტების გამოყენება შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:

პირველი — ომი პოლონეთში. პოლონეთში საბრძოლო ოპერაციების დროს გერმანიის სარდლობამ გამოიყენა საპარაშუტო-სადესანტო ჯგუფების მცირე რიცხვი. პოლონელთა ზურგში გადასხმული საპარაშუტო დესანტების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მოეხდინათ პოლონეთის არმიის ზურგის დეზორგანიზაცია და სარდლობისათვის შეეტყობინებინათ ამა თუ იმ რაიონში განლაგებული მტრის ჯარის რაოდენობა. გერმანელთა საპარაშუტო დესანტებს, რომლებიც პოლონეთში გადასხეს, განსაზღვრული ამოცანები ჰქონდათ. ეს იყო პირველი ცდა გამოეყენებინათ დაწყებულ ომში ჯარის ახალი გვარეობა.

თანამედროვე ომში საჰაერო დესანტების გამოყენების მეორე ეტაპი ეკუთვნის გერმანიის საომარ მოქმედებას დანიასა და ნორვეგიაში. ამ ოპერაციების დროს გერმანიის სარდლობამ გაითვალისწინა პოლონეთის საჰაერო დესანტების მოქმედების გაკვეთილები და საჰაერო დესანტები სრულიად ახლებურად გამოიყენა. საჰაერო-სადესანტო ჯარი გადასხეს უშუალოდ მტრის აეროდრომებზე იმ ობიექტების მახლობლად, რომლებსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. აეროდრომებზე გადასხმული ჯარი მაშინვე ავრცელებდა თავის მოქმედებას ახლომდებარე რაიონებზე და ამგვარად უზრუნველჰყოფდა საჰაერო-სადესანტო ჯარის შემდგომი გადასხმის მოწყობის შესაძლებლობას. ამნაირად, მტრის ზურგში გაჩნდნენ გერმანიის მოქმედი ჯარის ნაწილები.

ნორვეგიაში შემდგომი ოპერაციების დროს საჰაერო დესანტები ისევე ეფექტიურად იქნა გამოყენებული, როგორც პირველი ოპერაციების დროს. დომბოსის სარკინიგზო კვანძის დანგრევის მიზნით, დომბოსის რაიონში გადასხეს საპარაშუტო დესანტი. საჰაერო დესანტებმა განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწიეს იმ ჯარს, რომელიც ნარვიკის რაიონში იბრძოდა უკანასკნელ დღემდე ამ რაიონში დამხმარე ძალებსა და საომარ მასალას საჰაერო გზით ჰგზავნიან.

ნორვეგიაში წარმოებულმა ოპერაციებმა დაგვანახვა, რომ საჰაერო დესანტების გამოყენების ეფექტიურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათს მასობრივ გამოყენებაზე, გადასხმული დესანტების მოქმედების რაიონის გაფართოების უნარზე, აგრეთვე იმის უნარზე, რომ მოეწყოს საომარი მასალებისა და დამხმარე ნაწილების მიწოდება საბრძოლო მოქმედების პროცესში.

საჰაერო დესანტების გამოყენების მესამე ეტაპს წარმოადგენს გერმანიის ჯარის საერთო შეტევა ბელგიასა და ჰოლანდიაში, აგრეთვე საფრანგეთში. უცხოეთის პრესის ცნობებით, ჰოლანდიასა და ბელგიაში მოქმედებდნენ გერმანიის ორი საჰაერო დივიზიის სადესანტო ნაწილები. ამ შემთხვევაში გერმანიის სარდლობამ გამოიყენა საჰაერო-სადესანტო ჯარის დიდი შენაერთები. საჰაერო დესანტებს დაკისრებული ჰქონდათ შემდეგი ამოცანები: ხელთ ეგდოთ მტრის აეროდრომები, დაენგრიათ კომუნიკაციები, დეზორგანიზაცია შეეტანათ მტრის ზურგში და, ბოლოს, დახმარება გაეწიათ თავისი ჯარისათვის გამაგრებული პუნქტების დაპყრობაში.

როგორც საომარი მოქმედების მიმდინარეობიდან სჩანს, გერმანიის საჰაერო დესანტებმა ეს ამოცანა შეასრულეს.

გერმანიის პარაშუტისტთა პირველი ჯგუფი ჰოლანდიაში 10 მაისს დილით გადასხეს. საპარაშუტო დესანტებმა დაიკავეს ხაარდენის, ზოობურგის, სლადრეხტის რაიონები და ვალჰავენის აეროდრომი. შემდეგში ვალჰავენის აეროდრომზე, როგორც სჩანს, შეძლოთ დაშვება გერმანიის თვითმფრინავებს. ამავე დროს საპარაშუტო დესანტები გადასხეს ჰოგესვალიუმის, ლეიდენის რაიონში და ფრიზის კუნძულებზე.

11 მაისს ღამით და გათენებისას საჰაერო დესანტები გადასხეს ამსტერდამისა და როტერდამის რაიონში, აგრეთვე ჰაუდის, ბოქსტენის, დობრეხტისა და მურდეიკის რაიონში. ამგვარად, თითქმის მთელი ჰოლანდიის არმიის ზურგში აღმოჩნდა გერმანიის ჯარი. გადასხმული საჰაერო დესანტები მტრის ტერიტორიაზე 4 დღეს გამაგრდნენ, ისინი ინარჩუნებდნენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს, ვიდრე გერმანიის ძირითადი ჯარი მოვიდოდა. მურდეიკში სადესანტო ჯარმა ხელთ იგდო მდინარე მაასის სარკინიგზო ხიდი და შეინარჩუნა იგი, რითაც საშუალება მისცა ჯარს გასულიყო ამ ხიდზე. ჰოლანდიაში საჰაერო დესანტებმა უმნიშვნელოვანესი ამოცანა შეასრულეს იმ მხრივ, რომ თავიდან აეცილებინათ წყლის მიშვება. ინგლისის გაზეთ „დეილი ჰერალდის“ გადმოცემით, ამსტერდამ-როტერდამ-ჰააგის სამკუთხედში მარტო პირველ დღეს გერმანელებმა 12 ათასი პარაშუტისტი გადასხეს. ამან აიძულა ჰოლანდიის სარდლობა გამოეყო დიდძალი ჯარი გერმანიის დესანტებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. თანამედროვე ომში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მტრის ზურგში გადასხმულმა საჰაერო დესანტმა შეასრულა მის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანა და შეუერთდა მისულ ჯარს.

ჰოლანდიაში საჰაერო დესანტების გადასხმასთან ერთად დესანტები გადასხეს აგრეთვე ბელგიაში. საპარაშუტო დესანტები დაეშვნენ ნიველის, სენ-ტრონის, ლიეჟის, ებენ-ემაელის რაიონებში და ალბერტის არხთან. 12 მაისს საჰაერო დესანტი გადასხეს ვილვორდში (15 კილომეტრზე ბრიუსელიდან).

გერმანიის ჯარის მიერ ფორტ ებენ-ემაელზე იერიშის მიტანის დროს საპარაშუტო დესანტმა დიდი დახმარება გაუწია ჯარს. პარაშუტისტები დაეშვნენ უშუალოდ ფორტის რაიონში და, მოქმედებდნენ რა ხელყუმბარებით, ხელი შეუწყეს ჯარს ამ ფორტის აღებაში. როგორც ვიცით, ამ ფორტის გარნიზონი დანებდა მტერს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბელგიისა და ჰოლანდიის ფრონტზე მოქმედებდა საჰაერო-სადესანტო ჯარის ორი დივიზია. ისახება გერმანიის საჰაერო-სადესანტო ჯარის მსხვილ შენაერთთა ორგანიზაციული სტრუქტურა. გერმანიაში არსებობს ორი ტიპის საჰაერო-სადესანტო ჯარი: საპარაშუტო-სადესანტო ჯარი, საჰაერო-სატრანსპორტო ჯარი.

საჰაერო-სადესანტო ჯარის ორივე ჯგუფი მჭიდრო ურთიერთმოქმედებაშია საბრძოლო ოპერაციების შესრულებისას.

თუ გარემოება საშუალებას აძლევს, დესანტი დაეშვება პირდაპირ მოწინააღმდეგის აეროდრომზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეშვება საპარაშუტო დესანტი, რომელიც ხელთ იგდებს აეროდრომს და უზრუნველჰყოფს საჰაერო-სატრანსპორტო დესანტის თვითმფრინავთა დაშვებას. საჰაერო დესანტის გადასხმულ ჯარს თანდათანობით ემატება ძალები და იგი აფართოებს თავისი მოქმედების რაიონს (გარემოების მიხედვით).

საჰაერო დესანტები მონაწილეობას იღებენ ხმელეთის ჯარის იერიშებში გამაგრებულ პუნქტებზე, აგრეთვე საბრძოლო მასალას და ცოცხალ ძალას აწვდიან ჯარის საერთო მასისაგან იზოლირებულად მოქმედ ნაწილებს (ნარვიკი). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საჰაერო დესანტის გადასხმას იფარავენ ჰაერიდან (საჭიროა ჰაერში ბატონობა).

მიუხედავად გერმანიის საჰაერო დესანტების წარმატებითი მოქმედებისა, მათი საბრძოლო ღირებულება გადამეტებით არ უნდა შევაფასოთ. ის, რაც შესაძლებელი აღმოჩნდა ბელგიასა და ჰოლანდიაში, მოსალოდნელია შეუძლებელი გახდეს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. გერმანელების შეტევას საფრანგეთში ჯერჯერობით არ ახასიათებს საჰაერო დესანტების მასობრივი გადასხმა. იყო მხოლოდ ორი ცნობა მაჟინოს ხაზს იქით გერმანელთა დესანტის გადასხმის შესახებ, მაგრამ დღემდე არაფერი ვიცით ამ დესანტის მოქმედების შესახებ.

ბელგიასა და ჰოლანდიაში საჰაერო დესანტების გადასხმისათვის ხელსაყრელ მდგომარეობას ჰქმნიდა ის, რომ ეს ქვეყნები არ იყვნენ საომარ მდგომარეობაში და ამიტომ შეიძლებოდა მოქმედების მოულოდნელობაზე იმედის დამყარება. საჰაერო დესანტების გამოყენება უნდა ემყარებოდეს კონკრეტული საბრძოლო ვითარების ზუსტად გათვალისწინებას და საერთო ოპერაციის გეგმას. საჰაერო დესანტების გადასხმის ფონზე ისახება მათი წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდიც. სადესანტო ჯარის მთავარ მტერს წარმოადგენს ავიაცია. თუ ავიაციამ თავის დროზე აღმოაჩინა დესანტის გადასხმის დაწყება, მას შეუძლია იქვე გაანადგუროს იგი.

საჰაერო დესანტები გაჩნდა ამ ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, მაგრამ ასე ფართო მასშტაბით ისინი არასოდეს არ ყოფილან გამოყენებულნი. ჰოლანდიისა და ბელგიის საომარ ასპარეზზე საპარაშუტო დესანტებმა ხმელეთის ჯართან ურთიერთმოქმედებით სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

კაპიტანი ს. ვ. სოკოლოვი.

გამოფენის მონაწილენი კოლმეურნეობაში დაბრუნდნენ

საუბარი გამარჯვებულთა გამოფენაზე

თბილისის რაიონის ავჭალის **ლ. ბერიას** სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. თ. ვარდანაშვილის ჩამოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფელს. მატარებლის მოსვლიდან ორი საათიც არ იყო გასული, რომ კოლმეურნეობის კანტორის ეზოში 150-ზე მეტმა კოლმეურნემ მოიყარა თავი. ქალები და მამაკაცები, მოხუცები და ახალგაზრდები მოვიდნენ აქ პირდაპირ მინდვრებიდან, სადაც დილიდან შებინდებამდე მუშაობდნენ ისინი თავგამოდებით, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მეტი საკოლმეურნეო დოვლათის დაგროვებისათვის.

კრება ცის ქვეშ მწვანე მინდორზე შესდგა. ბავშვებიც კი, აქამდე რომ ჟრიამულით იკლებდნენ გარემოს, სმენად გადაიქცნენ. კრების თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ამხ. ვარდანაშვილს, რომელსაც კრების გახსნამდე ცალკეულ კოლმეურნეებთან გაცხოველებული საუბარი ჰქონდა გამართული.

და პირველი მადლობის სიტყვა მან მიუძღვნა იმას, ვინც კოლმეურნე გლეხობას, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ბედნიერება, შეძლებული და საამური ცხოვრება მოუტანა, ვინც ჩვენი სოციალისტური სამშობლო აყვავებულ ბაღნარად გადააქცია, შრომა სახელის, დიდებისა და გმირობის შარავანდედით შემოსა—

დიდ სტალინს!

და ამ ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ადამიანის სახელის ხსენებამ აღფრთოვანება, მქუხარე ტაში და ოვაცია გამოიწვია სახეგაბრწყინებულ კოლმეურნეებში.

მომხსენებელი სიხარულით ლაპარაკობს დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მან **ლენინის** მავზოლეუმის, მეტროს, რევოლუციის მუზეუმის, მოსკოვ-ვოლგის არხის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო გამოფენის და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების დროს მიიღო.

— ყველაფერი მშვენიერი და მიმზიდველია — ამბობს ამხ. ვარდანაშვილი. სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე ვნახე ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკოლმეურნეო სოფლის ზღაპრული წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია დიდი **სტალინის,** ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით. მოძმე რესპუბლიკების და დარგობრივი პავილიონები თავიანთი სილამაზით, სიმდიდრითა და სიუხვით ერთმანეთზე უკეთესია. გამოფენა კოლმეურნეთა ნამდვილი სკოლაა. 5 დღის განმავლობაში იქ მე იმდენი ცოდნა და გამოცდილება შევიძინე, რამდენსაც ჩვეულებრივ პირობებში ათეული წლების განმავლობაში ვერ შევიძენდი. გამოფენაზე ყოველი ფეხის გადადგმაზე იგრძნობა მოწინავე მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა კავშირის დიდი ძალა, რამაც უზრუნველჰყო საკოლმეურნეო მშენებლობის საერთო წინსვლა და გამარჯვება. ეს კავშირი ყოველდღიურ მუშაობაში კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ.

ამხ. თ. ვარდანაშვილს უბის წიგნაკი სავსე აქვს ძვირფასი ჩანაწერებით, რომლებიც მოგვითხრობენ სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარ გამოცდილებაზე, უმთავრესად მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მემინდვრეობისა და მეხილეობის დარგიდან. მომხსენებელი ლაპარაკობს რა გამოფენის დათვალიერების დროს მიღებულ გამოცდილებაზე, აყენებს კონკრეტულ წინადადებებს ადგილობრივ პირობებში მისი გამოყენებისათვის.

— მებოსტნეობის პავილიონში — მოუთხრობს კრებას ამხ. ვარდანაშვილი, — ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩრდილოეთ-კავკასიაში გამოყვანილი პამიდორის ახალმა ჯიშებმა „ბუდიონოვკამ“ და „ყველაზე უკეთესმა“. პირველი ჯიში ჰექტარზე 30 ტონას და კიდევ მეტ მოსავალს იძლევა, მაშინ როცა ადგილობრივი ჯიშების მოსავალი ჩვენთან 18-20 ტონას არ აღემატება. რაც შეეხება ჯიშს—„ყველაზე უკეთესს“ იგი საუკეთესოდ იტანს, როგორც სიცივეს, ისე სიცხეს და მოსავლის მიხედვით სხვებს არ ჩამორჩება. როგორც მებოსტნეობის პავილიონში მცოდნე კოლმეურნეებმა და აგრონომებმა აგვიხსნეს, პამიდორის ეს ჯიშები თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს ჩვენშიაც. უნდა გავავრცელოთ კიდეც.

ავჭალის **ლ. ბერიას** სახელობის კოლმეურნეობამ, რომელიც წელს გამოფენაში ფართო ჩვენებით ღებულობს მონაწილეობას, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში თითოეული ძროხის ყოველწლიური საშუალო წველადობა 1840 ლიტრამდე აიყვანა, მაგრამ ახლა ამ მიღწევებით ამხ. ვარდანაშვილი არ არის კმაყოფილი.

— გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების გაცნობამ, — განაგრძობს მომხსენებელი, — დამარწმუნა იმაში, რომ წველადობის გასადიდებლად ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვიყენებია ყველა შესაძლებლობა. შვიცისა და წითელი გერმანული ჯიშის ძროხები ჩვენს კოლმეურნეობაში 2.000 ლიტრზე მეტ რძეს არ იძლევიან, გამოფენაზე კი ვნახეთ ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც ძროხის ამავე ჯიშებიდან 2-3-ჯერ მეტ რძეს ღებულობენ. ამას კი აღწევენ იმით, რომ შემოღებული აქვთ პირუტყვის სწორი კვება და წესიერი მოვლა. თვითეულ ჯერზე კოპტონს, თივას, ქატოს, სილოსს და სხვა საკვებს ძროხებს აძლევენ თვითეული მათგანის ცოცხალი წონის, ხნოვანების, პროდუქტიულობის, და სხვა პირობების მტკიცედ გათვალისწინებით, ძროხებს წველიან დღეში 4-ჯერ. ამ წესებს ჩვენ ვერ ვიცავთ და ამიტომაა, რომ შედარებით წველადობაც ნაკლებია.

ამხ. ვარდანაშვილი ცოცხალი მაგალითებით ასაბუთებს, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის პირუტყვის მარტო ჯიშობრივი გაუმჯობესება კი არ არის საკმარისი, არამედ ამასთან ერთად საჭიროა მათი წესიერი და დაკვირვებული მოვლა-პატრონობა.

კოლმეურნეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ამხ. ვარდანაშვილის საუბარმა მეფრინველეობის შესახებ. მომხსენებელმა მოუთხრო კრებას, რომ მან გამოფენაზე ნახა ისეთი ჯიშის ქათამი, რომელიც წლის განმავლობაში 250-280 კვერცხს დებს, ინდაური, რომელიც 15-16 კილოგრამს იწონის. კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. ვარდანაშვილის წინადადებას იმის შესახებ, რომ წელს მოეწყოს ჯიშიანი მეფრინველეობის საკოლმეურნეო ფერმა და შეძენილ იქნას ინკუბატორი.

გამოფენიდან დაბრუნებულმა, მშრომელთა დეპუტატების ავჭალის სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შარიქაძემ კოლმეურნეებს, დაწვრილებით მოუთხრო რა ეფრემოვის გამოცდილების შესახებ, მოუწოდა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მოწინავეთა გამოცდილების ყოველდღიურ მუშაობაში გამოყენებას.

ავჭალელი კოლმეურნეები გულთბილად შეხვდნენ გამოფენის მონაწილის სოფ. დიღმის **ლენინის** სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. დ. მარიამულის გამოსვლას, რომელიც რამდენიმე საათის წინ დაბრუნდა მატარებლით გამოფენიდან და თავისი შთაბეჭდილების გასაზიარებლად მათ სტუმრად ეწვია. ამხ. მარიამულმა დააყენა საკითხი, რომ რაიონში შემოტანილ იქნას სამთო კომბაინი, აგრეთვე გამოფენაზე ნაჩვენები მრავალწლიანი ხორბლის, ყინვის გამძლე ვაშლის და ბოსტნეულის დღემდე ჩვენს პირობებში უცნობი ძვირფასი ჯიშების შესასწავლად, წელსვე მოეწყოს კოლმეურნეობებში საცდელი ნაკვეთები.

სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. წამალაშვილი და გამოფენის მონაწილე სტახანოველი მეხბორე კატო თედიაშვილი, რომლებმაც ვალდებულება აიღეს, იმუშაონ კიდევ უფრო უკეთესად, დაეხმარონ ჩამორჩენილებს და იბრძოლონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ვ. ბუთიკაშვილის წინადადება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობაში წელსვე მოეწყოს ქოხლაბორატორია, გაფართოვდეს მეცხენეობის ფერმა, აიგოს ბინა 400 ფრთა ქათამისათვის და ყველა ბრიგადა გადავიდეს რგოლურ მუშაობაზე.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება—სოფ. დიღმის **ლენინის** სახელობის კოლმეურნეობასთან დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულება შეივსოს ახალი ვალდებულებებით და მასში შეტანილ იქნას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების ფართოდ დანერგვის საკითხი.

კოლმეურნეთა კრება ღამის 9 საათზე დაიშალა. კოლმეურნეები სახლებში წავიდნენ იმ გადაწყვეტილებით, რომ ახალი ენერგიით იმუშაონ ნაკისრ ვალდებულებათა სახელოვნად შესრულებისათვის, თავიანთი კოლმეურნეობის შემდგომი წინსვლისა და აყვავებისათვის.

ტ. აცანელი

სოფ. ავჭალა.

პოლკოვნიკი ლ. ანტონენკო

ორი კვირის აქტიური საბრძოლო მოქმედება დასავლეთში

(სამხედრო მიმოხილვა)

ომი დასავლეთ ევროპაში ისეთ სტადიაში შევიდა, როდესაც საომარი მოქმედების ფართო ასპარეზზე ჯარების დიდი შენაერთების შეტაკება ხდება. ინგლის - საფრანგეთის ბლოკსა და გერმანიას შორის გაჩაღებულ ომში ჩაბმული არიან ნორვეგია, ჰოლანდია და ბელგია.

10 მაისს გერმანიის არმიამ დაასწრო რა მოკავშირეებს, ხელთ იგდო ინიციატივა და შეიჭრა ჰოლანდიისა და ბელგიის ტერიტორიაზე. გერმანიის სარდლობამ, როგორც ეს საბრძოლო მოქმედების მსვლელობიდან სჩანს, გადასწყვიტა ნამიურ-სედანის ფრონტზე გაეჩაღებინა მთავარი შეტევა მოკავშირეთა არმიების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ დასავლეთის და ჩრდილოეთ - დასავლეთის მიმართულებებით შემობრუნებულიყო, რათა გარშემორტყმოდა მოკავშირეთა ჩრდილოეთის დაჯგუფებას და მოესპო იგი.

მეომარ მხარეთა შეტაკება იმ ასპარეზზე მოხდა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებით კარგად იყო შესწავლილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გერმანიის სარდლობამ ეს გამოცდილება თავის მოწინააღმდეგეზე უკეთ გაითვალისწინა.

რას წარმოადგენს გერმანელების მიერ დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია?

პირველ რიგში—მარჯვენა ფლანგის სტრატეგიულ უზრუნველყოფას. ამავე მიზნით გერმანელებმა ერთსა და იმავე დროს შეუტიეს ჰოლანდიასა და ბელგიას, 1914 წლისაგან განსხვავებით, როცა ბელგიის ტერიტორიით გაჩაღებული მთავარი შეტევა უზრუნველყოფილი არა ყოფილა ამ მიმართულებით ანტანტის შესაძლო მოქმედებისაგან ჰოლანდიის მხრივ.

საინტერესოა ერთმანეთს შევადაროთ მეომარ მხარეთა ძალების თანაფარდობა საომარი მოქმედების დასაწყისისათვის. უცხოელ მიმომხილველთა შეფასებით, ინგლისის საექსპედიციო არმიას ჰყავდა 300 ათასამდე ჯარისკაცი, საფრანგეთის არმიას — 5 მილიონამდე, ბელგიის არმიას—1 მილიონამდე და ჰოლანდიის არმიას—500 ათასზე მეტი ჯარისკაცი. ამრიგად, მოკავშირეთა არმიების საერთო რაოდენობა დაახლოებით 6 მილიონ 800 ათას კაცს შეადგენდა. მოკავშირეთა საბრძოლო ავიაცია 7 ათასამდე თვითმფრინავისაგან შესდგებოდა. ამ რაიონებიდან ჰოლანდია - ბელგიის პლაცდარმზე თავმოყრილი იყო 35 დივიზიამდე, მათ შორის 6-მდე მოტომექანიზებული დივიზია. გერმანიის არმიის რიცხობრივი შემადგენლობა, იმავე მიმომხილველთა ცნობებით, უდრიდა 7-8 მილიონ კაცს, ხოლო საბრძოლო ავიაცია—დაახლოებით 9 ათას თვითმფრინავს. ჰოლანდია-ბელგიის საზღვარზე თავმოყრილი იყო 95 დივიზია, აქედან 15-მდე მოტომექანიზებული დივიზია. თუ ამას დავუმატებთ გერმანიის არმიის ტექნიკური აღჭურვილობის ხარისხობრივ უპირატესობას, აშკარა გახდება, რომ მოკავშირენი ამ ომისათვის თავის მოწინააღმდეგეზე უფრო ცუდად მოემზადნენ. როგორც ეტყობა, მოკავშირეთა სარდლობა უფრო მეტ იმედს ამყარებდა თავისი თავდაცვითი საზღვრების ეფექტიურ როლზე, ვიდრე თავისი არმიების დარტყმითს ძალაზე.

ჰოლანდიაში გერმანელთა შეტევის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ჰოლანდიის სანაპიროს სწრაფი დაპყრობით საშუალება არ მიეცა მოკავშირეთათვის დესანტები გადაესხათ ზღვიდან, უზრუნველეყო ბელგიაში მოქმედი თავისი ოპერატიული ჯგუფის მარჯვენა ფლანგი და უშუალოდ დაემუქრებოდა თვითონ ინგლისს. ამ ამოცანის განსახორციელებლად გერმანელებმა მთავარი შეტევა განავითარეს არნჰემისა და როტერდამის მიმართულებით, მდინარეების—რაინისა და მაასის ფართო ველებზე. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ჰოლანდიის არმია დანაწილებულ იქნა იზოლირებულ ჯგუფებად, რაც დაეხმარა გერმანიის სარდლობას ნაწილ-ნაწილ გაენადგურებინა ისინი. დამხმარე შეტევა სწარმოებდა ზეიდერზეეს ყურის სამხრეთ სანაპიროზე და ჰარლინგენზე. ჰოლანდიის სუსტმა არმიამ, რომელსაც ვერ დაეხმარნენ ინგლის-საფრანგეთის ძალები, იარაღი დაჰყარა საბრძოლო მოქმედების მეექვსე დღეს.

18 მაისს გერმანიის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ჰოლანდიის მთელი სანაპირო. ჰოლანდიის არმიის ესოდენ სწრაფი კაპიტულაცია იმით აიხსნება, რომ მათ მოუხდათ ერთსა და იმავე დროს ებრძოლნათ ფრონტზე გერმანელებთან და ზურგში გერმანიის საჰაერო დესანტების წინააღმდეგ.

ბელგიის წინააღმდეგ გერმანელებმა ძირითადი დარტყმა მოახდინეს მაასტრიხტ - ბრიუსელის მიმართულებით; აქ მათი მიზანი იყო მოკავშირეთა ჯარის ფლანგიდან შემოვლა ჩრდილოეთიდან. გერმანიის არმიამ ყველაზე მძლავრი დარტყმა მოახდინა ლუქსემბურგისა და ბელგიის ტერიტორიაზე სენ კანტენ-ამიენის მიმართულებით, ნამიურსა და სედანს შორის, სადაც ფრონტის სიგანე 100-მდე კილომეტრს უდრიდა. ამ დარტყმის ძირითადი მიზანი იყო მოკავშირეთა არმიების გათიშვა და საფრანგეთ - ინგლის-ბელგიის ჯარის იმ დაჯგუფებათა განადგურება, რომლებიც ბელგიის ტერიტორიაზე და საფრანგეთის ჩრდილოეთ - დასავლეთის დეპარტამენტების ტერიტორიაზე მოქმედებდნენ. დამკვრელი ჯარის დაჯგუფების მარცხენა ფლანგის უზრუნველსაყოფად დამხმარე დარტყმა ხდებოდა მონმედისა და ლონგვის მიმართულებით, რათა შებოჭილიყო საფრანგეთის რეზერვები. ბელგიაში გერმანიის არმიების შეტევის პირველ დღეებში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ალბერტის არხისა და ლიეჟის გამაგრებული რაიონის ძირითად თავდაცვით მიჯნაზე. გერმანიის მოტომექანიზებული შენაერთების გასვლა ამ მიჯნაზე იმით იყო უზრუნველყოფილი, რომ გერმანიის საპარაშუტო დესანტებმა ხელთ იგდეს მდინარე მაასის ორი უმნიშვნელოვანესი გადასასვლელი. აქ გაჩაღებულ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოპიკირე ყუმბარმშენები და მოიერიშე ავიაცია, რომლებსაც ჰაერიდან მიჰქონდათ იერიშები მტრის მიახლოვებულ რეზერვებზე, გამაგრებულ პოზიციებზე, უმნიშვნელოვანეს აეროდრომებსა და კომუნიკაციათა კვანძებზე. გერმანიის ავიაცია ყუმბარებს უშენდა ინგლის-საფრანგეთის აეროდრომებს საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილშიც. ამასთანავე მძიმე სატრანსპორტო ავიაციამ საპარაშუტო დესანტები გადასხა ბელგიის თავდაცვის ძირითად პუნქტებში.

12 მაისს, გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, გერმანელებმა, გამოიყენეს რა მძიმე არტილერია და ყუმბარმშენი ავიაცია, დაიკავეს ლიეჟის სიმაგრეთა უძლიერესი ფორტი ებენ-ემაელი, გადალახეს ალბერტის არხის გამაგრებული ზოლი გასელტ-მაასტრიხტის რაიონში და საფრთხე შეუქმნეს ლიეჟის გამაგრებულ რაიონს ჩრდილოეთიდან და ჩრდილოეთ - დასავლეთიდან. ლიეჟის სამხრეთით მდებარე ფრონტზე ბელგიის ჯარის ნაწილები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ ეიპენ-უფალიზის ხაზზე.

პირველი სამი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ჯავშან-სატანკო შენაერთები ბრიუსელის მიმართულებით მიიწევდნენ, რათა გაეძლიერებინათ ბელგიის ჯარი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა გერმანიის ჯარის ნაწილებს ტონგრისა და სენ-ტრონდის რაიონში. ალბერტის არხის გადალახვის შემდეგ გერმანიის არმიის მსხვილ ჯავშანსატანკო შენაერთებს შესაძლებლობა ეძლეოდათ უფრო ფართო მანევრი განეხორციელებინათ, განევითარებინათ იგი მდინარე მაასის ხეობაში დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

14 და 15 მაისის განმავლობაში ბელგიის არმიამ, დაჰკარგა რა პირველი თავდაცვითი მიჯნა, ბრძოლით დაიხია უკან თავდაცვის მეორე ხაზზე, რომელიც გადის ანტვერპენის გამაგრებული რაიონის აღმოსავლეთით ლუვენისაკენ, ვავრის აღმოსავლეთით, და შემდეგ მაასის მდინარესაკენ, ნამიურთან. გერმანიის სამხრეთის დამკვრელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც სამზე მეტი არმია მოქმედებდა, შეტევას ავითარებდა საერთო მიმართულებით სენ კანტენისაკენ. 14 და 15 მაისს მომხდარ გააფთრებულ ბრძოლაში გერმანიის მექანიზებულმა დივიზიებმა მოპიკირე ყუმბარმშენების თანამოქმედებით გაარღვიეს ფრონტი დინანის რაიონში და შეტევა განავითარეს საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე, მობეჟის სამხრეთით.

სედანის რაიონში გერმანელებმა შესძლეს მდინარე მაასის გადალახვა და საფრანგეთის ტერიტორიაზე შეჭრა.

16 მაისს გააფთრებული ბრძოლა იყო მთელ ფრონტზე მალინიდან (ბრიუსელის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით) სედანამდე. ინგლისელები, რომლებიც მარცხენა ფლანგით ანტვერპენის გამაგრებულ რაიონს ეყრდნობოდნენ, მტკიცედ ინარჩუნებდნენ მდინარე დილის საზღვარს და მრავალი ტანკის დახმარებით იგერიებდნენ გერმანიის მეოთხე არმიის ნაწილების იერიშებს. ვავრის რაიონში, ბრიუსელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გერმანელებმა შესძლეს თავდაცვის ხაზის გარღვევა მდინარე დილზე, ხოლო მათმა წარმატებითმა მოქმედებამ სენ-კანტენის მიმართულებით მოკავშირეთა ჯარებს იმის საფრთხე შეუქმნა, რომ გარშემორტყმული ყოფილიყვნენ ბელგიაში. ეს იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ მოკავშირეებმა დასტოვეს ბრიუსელი, რომელიც 17 მაისს სრულიად უბრძოლველად აიღეს გერმანიის ჯარის ნაწილებმა. სამხრეთით, სამი დღის ბრძოლის შემდეგ, მდინარე მაასზე გერმანიის ძირითადმა დაჯგუფებამ მდინარე გადალახა დინანიდან სედანამდე და შეტევა განავითარა მობეჟ-რეტელის ფრონტზე. მოკავშირეთა სარდლობამ ვერ შესძლო დაწყებული გარღვევის ლიკვიდაცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამას ცდილობდა ყველა შემდგომი დღის განმავლობაში.

17 და 18 მაისს გერმანიის ჯარმა, ჰოლანდიაში როზენდაალის დაკავების შემდეგ, შეტევა განავითარა მდინარე შელდის შესართავის მიმართულებით, ამასთან ანტვერპენის გამაგრებულ რაიონს მან ჩრდილოეთიდან შემოუარა. ეს საფრთხეს უქმნიდა ამ რაიონში მოქმედი ინგლისის ჯარის ფლანგსა და ზურგს. ამ რაიონში გერმანიის ჯარის შემდგომმა მიძალებამ ინგლისელები აიძულა ბელგიის სანაპიროსაკენ დაეწყო დახევა. 18 მაისს გერმანელებს დაჰნებდა ანტვერპენი. ანტვერპენის სამხრეთ - დასავლეთით გერმანიის მოტომექანიზებულმა შენაერთებმა მდინარე დანდრი გადალახეს და ზედა შელდას მიაღწიეს, ამასთან განაგრძობდნენ მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ შეტევას. მოკავშირეთა არმიის სატანკო შენაერთების ცდა — კონტრიერიში მიეტანათ გერმანიის ჯარის ნაწილებზე ბრიუსელის სამხრეთ-დასავლეთით — სრული მარცხით დამთავრდა. გერმანიის მოტომექანიზებული შენაერთების ძლიერი დაჯგუფება, რომელმაც გაარღვია ხაზი მობეჟ-რეტელის ფრონტზე და რომელსაც არტილერია და ავიაცია ეხმარებოდა, 19-22 მაისის განმავლობაში განაგრძობდა ხაზის გარღვევას სენ-კანტენ-ამიენის მიმართულებით. 21 მაისს საღამოსათვის გერმანიის ცალკეული რაზმები ლამანშის სანაპიროზე გავიდნენ. ხუთი დღელამის განმავლობაში მათ ბრძოლით გაიარეს 200 კილომეტრზე მეტი მანძილი. ამგვარად ინგლის-ბელგიის ჯარი საფრანგეთის ძირითად დაჯგუფებას მოსწყვიტეს.

საფრანგეთის მეცხრე არმიის ცდა — კონტრშეტევით აღედგინა მდგომარეობა გერმანელების ჯარის იმ ნაწილების ფლანგზე, რომლებმაც ხაზი გაარღვიეს, როგორც ცნობილია, იმით დამთავრდა, რომ ეს არმია განადგურებულ იქნა სედანის სამხრეთით.

მოკავშირეთა არმიებისათვის ძალიან კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ არ არის განადგურებული მოკავშირეთა ძირითადი ძალები, ჯერ კიდევ არ არის ამოწურული მათი რეზერვები. 22 და 23 მაისს მოკავშირეთა ჯარებმა მთელი რიგი დიდი კონტრიერიშები მიიტანეს და ცდილობდნენ თავიანთი ძალების შემოერთებას. მათ შესძლეს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება არასისა და ვალანსიენის რაიონში და ვალანსიენის ჩრდილოეთით. მოკავშირეები მტკიცედ ინარჩუნებენ ფრონტს მდინარე შელდისა და სკარპის ხაზზე და მათ შეაჩერეს გერმანიის ჯარი. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 23 მაისს გერმანიის ჯარმა დაიკავა ბულონი (პა-დე-კალეს სანაპიროზე).

როგორც სჩანს უახლოეს დროში გერმანიის სარდლობა, მთელ თავის ძალღონეს წარმართავს იმ მხრივ, რომ გაანადგუროს ინგლის-ბელგიის ჯარები, რათა უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნას საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ ოპერაციების გასავითარებლად.

ორი კვირის საომარი მოქმედების ანალიზის შედეგად შეიძლება უკვე გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა:

1. როგორც გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებს შორის მომხდარი პირველი დიდი ბრძოლების შედეგი გვიჩვენებს, ინგლის-საფრანგეთის ბლოკმა ეს ომი ისე დაიწყო, რომ იგი უფრო ნაკლებად იყო მომზადებული, ვიდრე გერმანია.

2. გერმანიის არმიის წარმატებით შეტევით მოქმედებას ხელს უწყობს თანამედროვე შეტევით საშუალებათა და, პირველ რიგში, ტანკებისა და მოპიკირე ყუმბარმშენების მასობრივი გამოყენება, ქვეითი ჯარის, არტილერიისა და ზურგების ფართო მოტორიზაცია, აგრეთვე ჯარის ახალი გვარეობის—საპარაშუტო დესანტების გამოყენება დიდძალი რაოდენობით. როგორც თვით მოკავშირეები აღიარებენ, გერმანელთა მიერ მოპიკირე ყუმბარმშენების, მძიმე ტანკებისა და საპარაშუტო დესანტების გამოყენება მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო. საპარაშუტო დესანტებმა უდიდესი როლი შეასრულეს გერმანელთა შეტევის პირველ პერიოდში. ხელთ იგდეს რა მტრის უმნიშვნელოვანესი აეროდრომები, გადასასვლელები და რკინიგზის კვანძები, მათ, ერთის მხრივ, უზრუნველჰყვეს თავისი მოტომექანიზებული შენაერთების სწრაფი წინსვლა, ხოლო, მეორე მხრივ—დაარღვიეს მტრის ზურგი, გააძნელეს მისი რეზერვების მანევრი და თავისკენ მიიზიდეს ფრონტის მნიშვნელოვანი ძალები. გერმანიის ავიაციის რიცხობრივი და ხარისხობრივი უპირატესობა მოკავშირეთა ავიაციასთან შედარებით დღემდეც უზრუნველჰყოფს მისთვის ჰაერში უპირატესობას.

3. იყენებს რა პოლონეთსა და დასავლეთის ფრონტზე წარმოებული ომის გამოცდილებას გერმანიის სარდლობა კვლავ ახორციელებს მოკავშირეთა არმიების მთავარი ძალების გათიშვის ტაქტიკას და ცდილობს ნაწილ-ნაწილ გაანადგუროს ისინი.

4. ინგლის - საფრანგეთის ბლოკმა, ჩაითრია რა ომში ბელგია და ჰოლანდია, არ გაუწია მათ ეფექტიური სამხედრო დახმარება, რის გამო ჰოლანდიის დემორალიზირებულმა არმიამ, დარწმუნდა რა, რომ შემდგომი წინააღმდეგობა უნაყოფოა, მეექვსე დღეს კაპიტულაცია გამოაცხადა. მოკავშირეებისაგან საჭირო დახმარებას ვერ იღებს ბელგიის არმიაც, რომელიც უკან იხევს.

◆

პარტიული ცხოვრება

პარტიულ პროპაგანდაში საპარადო ხმაურის წინააღმდეგ

(ცხაკაია, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად მომზადებულ თეორიულ კონფერენციას მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების საქმეში. მაგრამ იმის მაგალითს, თუ როგორ არ უნდა ტარდებოდეს ასეთი კონფერენციები, წარმოადგენს ცხაკაიის რაიონში ამასწინათ ჩატარებული თეორიული კონფერენცია.

მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის და მტს-ის პარტორგანიზაციების ინიციატივით 18 მაისს ჩატარდა თეორიული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე ქალაქის ყველა პარტორგანიზაციის წევრ-კანდიდატები, აგროტექნიკუმისა და მოზრდილთა საშუალო სკოლის მოსწავლენი. (?!)

აუდიტორია მოელოდა, რომ კონფერენცია მაღალ იდეურ დონეზე და სანიმუშოდ ჩატარდებოდა, მაგრამ მოლოდინი ვერ გამართლდა.

მოხსენებით თემაზე — „პარტიის მე-15 ყრილობა და კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ" —გამოვიდა რაიმიწგანის აგრონომი ამხ. ს. ნასარაია. უნდა აღვნიშნოთ, რომ კონფერენციის მუშაობის უფერულობას თავიდანვე დასაწყისი მისცა თვით მომხსენებელმა, რომელმაც თავისი მოხსენება ძირითადად ააგო გრძელ ამონაწერებზე, ციტატებზე და მოგვცა პარტიის ისტორიის ზერელე შეკუმშული გადმოცემა 1917 წლიდან დღემდე, სამოქალაქო ომის ისტორიის ჩართვით. თეორიული კონფერენციის თემიდან გადახვევამ გამოიწვია აუდიტორიის ყურადღების დაფანტვა, დარბაზში კერძო მუსაიფი, უყურადღებობა.

მომხსენებელმა თავის მოხსენებაში არასაჭირო საკითხებს საკმაოდ დიდი დრო დაუთმო და სრულიად გამოსტოვა მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აღებული თემის გაშუქებისათვის.

მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. მოკამათეების მიერ წინდაწინ, კაზიონურად შედგენილი სიტყვები სრულიად ვერ უპასუხებდა დასმულ საკითხს, რადგან „მოკამათეების" სიტყვები უმეტეს შემთხვევაში იყო სამიტინგო, საპარადო ხასიათის და არ ეხებოდა კონკრეტულ საკითხებს. კამათმა ვერ მოგვცა დასმული საკითხის თეორიული განხილვა.

კამათი რომ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ამას შემდეგი ფაქტიც ამტკიცებს. ამხ. ბ. გოგინავას დაავალეს გამოსულიყო კამათში. მან „საკამათო" სიტყვა წინდაწინ შეადგინა, მაგრამ იმის გამო, რომ იგი ავად გახდა, მისი სიტყვა სხვას გადასცეს და კონფერენციაზე წააკითხეს.

ყოველივე ამის გამო კონფერენცია უხალისოდ და უფერულად ჩატარდა. დარბაზში ადგილი ჰქონდა უყურადღებობას, ხშირ მოძრაობას. კონფერენციამ აუდიტორიის ყურადღება ვერ დაიპყრო.

კონფერენციის ხელმძღვანელმა, საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგემ ამხ. ვ. მიქაძემ სწორად ვერ წარმართა კონფერენციის მუშაობა, ვერ ამჩნევდა ცალკეული ამხანაგების მიერ დაშვებულ შეცდომებს და ზოგჯერ თვითონაც არასწორ განმარტებებს იძლეოდა.

კონფერენცია რომ არასაკმაო პოლიტიკურ დონეზე და უფერულად ჩატარდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მოკამათე ტ. ჩიქოვანმა არასწორად განმარტა ზოგიერთი საკითხი, კერძოდ კულაკობის შესახებ.

ვის რად უნდა ასეთი უფერული თეორიული კონფერენცია? ჩვენის აზრით ასეთი ფორმალური თეორიული კონფერენცია ვერავის ვერ დაეხმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში.

შ. კალანდარიშვილი

პარტიული კომიტეტების შტატგარეშე კონსულტანტები

ლენინგრადი, (საკდესი). ლენინგრადის ბევრმა პირველადმა პარტორგანიზაციამ შტატგარეშე კონსულტანტები აიყვანა იმ კომუნისტებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად, რომელნიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს".

ვიბორგის რაიონში დაახლოებით 150 შტატგარეშე კონსულტანტია. ისინი სისტემატურად აწყობენ საუბრებს კომუნისტებთან, რომელნიც დამოუკიდებლად მუშაობენ თავიანთი თეორიული დონის ამაღლებისათვის.

შტატგარეშე კონსულტანტების მუშაობა კარგ შედეგებს იძლევა.

შტატგარეშე კონსულტანტთა ჯგუფი შექმნილია აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) რაიკომთან. მის შემადგენლობაში შედიან მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძვლების მასწავლებლები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან.

პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფი

მოსკოვი, (საკდესი). დაახლოებით წელიწადნახევარია, რაც საკ. კ. პ. (ბ) ქალაქ მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიკომთან ლექტორთა ჯგუფი არსებობს. მისი მუშაობა ფართოდ გაიშალა მხოლოდ შარშანდელი წლის ნოემბრიდან. ჯგუფის შემადგენლობაში არის 19 საშტატო და შტატგარეშე ლექტორი —უმაღლეს სასწავლებელთა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების ხელმძღვანელები, ფილოსოფიური და ისტორიული მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები და მასწავლებლები. ჯგუფს პროფესორი გურევიჩი ხელმძღვანელობს.

განვლილი დროის მანძილზე ლექტორთა ჯგუფმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. მისი ძალებით ამა წლის ოთხი თვის განმავლობაში წაკითხულ იქნა 80-ზე მეტი ლექცია, რაც დაახლოებით 9 ათასმა კაცმა მოისმინა. ლექციებს კითხულობენ რაიონულ ლექტორიუმებში, ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნაია მანუფაქტურის კომბინატისა და 1905 წლის რევოლუციის ხსოვნის ვაგონ-სარემონტო ქარხნის აუდიტორიებში, ორჯონიკიძის სახელობის და სილიკატის ქარხნებში. ცალცალკე ეწყობა ლექციები პარტიის წევრობის კანდიდატებისათვის, კომკავშირული აქტივისათვის, მასწავლებელთა და მწერალთათვის.

ლექციების უმეტესობა მიეძღვნა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიასა და ფილოსოფიას. ბევრი ლექცია წაიკითხეს საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის მასალების შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობაზე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის შესახებ.

ლექტორთა ჯგუფი სისტემატურად იხილავს წაკითხული ლექციების სტენოგრამებს და წასაკითხის გეგმებს. ლექტორები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას. არკვევენ თუ რა ნაკლი აქვს ლექციების მოწყობას, მათს ხარისხს, იმუშავებენ თემატიკას. ისინი ესწრებიან თავიანთი ამხანაგების ლექციებს, ხოლო შემდეგ მოხსენებას აკეთებენ მთელი ჯგუფის თათბირზე.

ცოცხლად მიმდინარეობს ლექტორთა ჯგუფის თათბირები, რომლებიც მიძღვნილია ცალკეული თეორიული საკითხებისა და მოხსენებების განხილვისადმი.

წელს დეკემბერში 35 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მოსკოვში მოეწყო შეიარაღებული აჯანყება. რაიკომის ლექტორთა ჯგუფი ამჟამად დიდ მუშაობას ეწევა, რათა მოამზადოს და გამოსცეს ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი კრებული. ჯგუფი აგროვებს და სწავლობს მასალებს კრასნაია პრესნიას შესახებ, რომელიც აჯანყების მთავარი სიმაგრე, მისი ცენტრი იყო და ამის შესახებ სტატიებს სწერს კრებულისათვის.

თბილისის ლექტორიუმის მზადება საზაფხულო სეზონისათვის

საქართველოს სსრ განსახკომთან არსებული ლექტორიუმი დიდ საპროპაგანდო მომსახურებას უწევს თბილისის მშრომელებს. იგი სისტემატურად აწყობს შინაარსიან ლექციებსა და მოხსენებებს სხვადასხვა თეორიულ საკითხებზე.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად ლექტორიუმმა უკვე დაიწყო ლექციების მთელი ციკლის ჩატარება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე. ლექციები ტარდება ქართულ და რუსულ ენებზე. ქართულ ენაზე ლექციებს კითხულობს პროფ. მოსე გოგიბერიძე, ხოლო რუსულ ენაზე — პროფ. კოტე ბაქრაძე. ციკლი შეიცავს 20 ლექციას.

17 მაისიდან ლექტორიუმმა დაიწყო ლექციათა ციკლის ჩატარება „საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური გარემოცვა". ციკლი შეიცავს 18 ლექციას.

ციკლის მიზანია შესაფერისი დახმარება გაუწიოს მსმენელებს, რათა ისინი სათანადოთ გაერკვნენ მიმდინარე რთულ საერთაშორისო ვითარებაში. ლექციებს წაიკითხავს პროფ. ათაბეგოვი.

21 მაისიდან ლექტორიუმმა დაიწყო მეტად საინტერესო ლექციათა ციკლის ჩატარება „დარვინი და მისი მოძღვრება". ლექციებს ამ ციკლიდან რუსულად წაიკითხავს პროფ. იუზბაშიანი. ციკლი შეიცავს 6 ლექციას.

ლექტორიუმის საზაფხულო მუშაობის პროგრამა მრავალფეროვანია. მას გათვალისწინებული აქვს ივნისის პირველ რიცხვებიდან ჩაატაროს 10 ლექცია, თემაზე: „სკოლა და ოჯახი", იმის შესახებ თუ როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყოს ოჯახი სკოლასთან, როგორ დახმარებას უნდა უწევდნენ მშობლები მასწავლებლებს. ლექციებს ამ თემაზე წაიკითხავენ პროფესორები დ. უზნაძე და გ. თავზიშვილი.

ამასთანავე ეწყობა ლექციების ციკლი „თანამედროვე ომის ტექნიკაზე". იგი 10 ლექციისაგან შესდგება. ციკლი შეიცავს შემდეგ თემას: „თანამედროვე ავიაციის საბრძოლო მოქმედებანი". „თურქეთი და ირანი", „საერთაშორისო მდგომარეობა" და „ხმელთაშუაზღვის პრობლემა. ლექციები ამ თემებზე ჩატარდება 25 მაისიდან თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. ლექტორების მიერ იქვე მოეწყობა ეპიზოდური ლექციები. ლექტორებად მოწვეული არიან სამეცნიერო ძალები და სამხედრო საქმის სპეციალისტები.

ლექციების ილუსტრირებისათვის გამოყენებული იქნება ყველა შესაძლებელი ფვალსაჩინო ხელსაწყო: სქემები, დიაგრამები, დიაპოზიტივები, კინოფილმები და სხვ.

გარდა ამისა, ასპინძის ომის წლისთავთან დაკავშირებით, 25 მაისისათვის ლექტორიუმი გამოუშვებს თემატიკურ ფურცლებს 5 თემად: „ერეკლე მეორე და მისი ეპოქა", „ერეკლე მეორე, როგორც დიდი სარდალი", „ასპინძის ბრძოლა", „კრწანისის ბრძოლა", „საქართველოს შეერთება რუსეთთან".

ასეთივე თემატიკურ ფურცლებს მაისის ბოლოსათვის ლექტორიუმი გამოუშვებს აკაკი წერეთლის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო. ამ დიადი თარიღის აღსანიშნავად ლექტორიუმი აწყობს ლექციებს, როგორც თბილისის, ისე რაიონების საწარმოებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) ნადეჟდა ნიკოლოზის-ასული **ვეპრიცკაია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0708218—კონტრრევოლუციონერ ქმართან კავშირისათვის, პარტსაწევროს გადაუხდელობისათვის და როგორც პარტიულ ცხოვრებას მოწყვეტილი. 2) ვიქტორია პეტრეს-ასული **არამიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1675065—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა თავისი მშობლების წარსული. 3) გასპარ ბალდასარის-ძე **ახპატელოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0708281—პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისა და პარტსაწევროს გადაუხდელობისათვის. 4) ეფრემ გაბრიელის-ძე **ოგანეზოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1540843—პაპიროსების მოპარვისათვის. 5) ვარვარა პავლეს-ასული **ქავთარაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0708231—პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისა და პარტსაწევროს გადაუხდელობისათვის. 6) ალექსანდრე კირილეს-ძე **ბარდინი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 0276416—სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის. 7) გიორგი ალექსანდრეს-ძე **მიქაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 2859723—მაგიდის საათის მოპარვისათვის. 8) ქამსარ ეგორის-ძე **გასპარიცი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1503782—სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. 9) ივანე მიხეილის-ძე **გუგუშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 1539531—თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და უწესრიგობისათვის. 10) ვერა ერემიას-ასული **ბოჭორიშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0708829—ანტიპარტიული ლაყბობისათვის და პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის. 11) მიხეილ იოსების-ძე **ხადური** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1509719—სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის. 12) ვალერიან ნიკოლოზის-ძე **სვანიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1510218—გაფლანგვისათვის. 13) მარიამ იოსების-ასული **აფციაური** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2164328—თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარებითი მიზნით გამოყენებისათვის. 14) ნოე გრიგოლის-ძე **აკოფაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1927 წლიდან, პარტბილეთი № 1509585 — სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის. 15) თამარ ფილიპეს-ასული **ქაჯაია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1672086—სიყალბის ჩადენისათვის. 16) ვლადიმერ იასონის-ძე **მდინარაძე**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1510183—სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულია გრიგოლი თომას-ძე **შენგელია**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1548008—სიყალბის ჩადენისა და პარტიული თანხების მითვისებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) პეტრე სიმონის-ძე **პოლინიჩენკო** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1671032—ანტისაბჭოთა ლაყბობისათვის. 2) იაკობ ანტონის-ძე **ტებლოევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 2843881—არაპარტიული მოქცევისათვის. 3) სამედ ვალი ოღლი **ყურბანოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1681628—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ქურდობისათვის. 4) ვლადიმერ გიორგის-ძე **ჯამბურიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1679640—გაფლანგვისათვის. 5) კლიმენტი პახვალის-ძე **ცომაია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1539529—გაფლანგვისათვის. 6) ევდოკია პეტრეს-ასული **ვოლოხენკოვა** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1920 წლიდან, პარტბილეთი № 1668029—პარტბილეთის დაკარგვისა და იმისათვის, რომ დააკლდა კოოპერატიული თანხები. 7) ივანე დიონისის-ძე **ხოფერია**—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2167982—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და იმის დაფარვისათვის, რომ მისი მამა წარსულში ვაჭრობდა. 8) დავით სოლომონის-ძე **ნოზაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1510978—პარტბილეთის დაკარგვისათვის და როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული. 9) ივანე კონსტანტინეს-ძე **აზიკოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1504589—პარტბილეთის დაკარგვისა და პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის. 10) მამედ ალიას-ძე **ალი ოღლი**— საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1929 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0924355—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისათვის და როგორც საზოგადოებრივი მუშაობით დაუინტერესებელი. 11) დავით ანტონის-ძე **გოგოჩაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0709566—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისათვის და როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული.

მზადება იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

საიუბილეო კომისიაში

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს სრულდება 100 წლისთავი გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადებიდან.

საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. კიკნაძის თავმჯდომარეობით 25 მაისს შესდგა საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საიუბილეო კომისიის წევრები: ამხ. ვ. ხატიაშვილი, გ. ტიკაძე, დ. ყიფშიძე, ირ. აბაშიძე, ალ. მურუსიძე, გრ. გაბისონია და სხდომაზე მოწვეულნი პროფ. გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძე და სხვ.

საიუბილეო კომისიის პირველმა სხდომამ წინასწარ მოხაზა იუბილეს ჩატარების გეგმა, რომელიც შეიცავს საგამომცემლო ნაწილს, გამოფენას, მოხსენებებსა და ღონისძიებებს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

გადაწყდა იუბილესთან დაკავშირებით გამოიცეს ი. გოგებაშვილის რჩეული ნაწერების 4 ტომი. პირველ ორ ტომში (მეორე ტომი გამოსულია) შევა პედაგოგიური ნაწერები, მესამეში — პუბლიცისტიკური, ხოლო მეოთხე ტომში, რომელსაც სახლიტგამი გამოსცემს, შევა ი. გოგებაშვილის მხატვრული პროზა. რჩეული ნაწერების პირველი და მეოთხე ტომები უკვე დამზადებულია დასაბეჭდად და გამოცემული იქნება საიუბილეო დღეებისათვის, ხოლო მესამე ტომი — 1941 წელს.

ამასთან საიუბილეო კომისიამ საჭიროდ სცნო 15 ოქტომბრამდე რესტავრირებული სახით გამოიცეს ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი „დედა-ენის" პირველი ნაწილი, რომლითაც ათეული წლების მანძილზე წერა-კითხვას სწავლობდა ახალგაზრდობა და რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში.

განზრახულია აგრეთვე იუბილეს შემდეგ მოხდეს „დედა-ენის" მეორე ნაწილის, „ბუნების-კარისა" და „რუსსკოე სლოვოს" ორივე ნაწილის რესტავრირება.

საიუბილეო კომისიამ საჭიროდ სცნო აგრეთვე ცალკე წიგნად მასობრივი ტირაჟით გამოიცეს იაკობ გოგებაშვილის პოპულარული ბიოგრაფია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს სპეციალურ კრებულს, სადაც განხილული იქნება იაკობ გოგებაშვილის მდიდარი და მრავალფეროვანი პედაგოგიური მემკვიდრეობა.

საიუბილეო დღეებისათვის საქ. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში მოეწყობა ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა. ამ გამოფენაში ნავარაუდევია ოთხი ძირითადი განყოფილება: ი. გოგებაშვილის ბავშვობა, მოწაფეობა და სტუდენტობა, ი. გოგებაშვილი და მისი თანამედროვენი და ი. გოგებაშვილის ნაშრომები და სხვადასხვა ნაწერები ი. გოგებაშვილის შესახებ.

საქართველოს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებელთა სახლებში, კლუბებსა და სხვ. მოეწყობა მოხსენებები ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ჩატარდება რადიო-გადაცემები.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა შესწავლილ იქნეს ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქნას" მიხედვით საბავშვო კინოფილმის შექმნის საკითხი.

იაკობ გოგებაშვილის რჩეული ნაწერების მეორე ტომი

ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით სახელგამმა გამოსცა ი. გოგებაშვილის რჩეული ნაწერების მეორე ტომი. ამ ტომში უმთავრესად თავმოყრილია პედაგოგიური თხზულებანი. წიგნი გამოცემულია პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, დართული აქვს ზ. კიკნაძის მიერ შედგენილი ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია, წინასიტყვაობა, რედაქტორის შენიშვნები და სახელთა საძიებელი.

განზრახულია ი. ს. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცეს მისი რჩეული ნაწერების 4 ტომი.

თბილისის მე-16 სკოლის მე-10 კლასის (პირველი გამოშვება) ფრიადოსნები საუბრობენ სკოლის დირექტორთან წლიურ ნიშნებზე. **სურათზე** (მარცხნიდან): პირველ რიგში — **ქ. ხიზანაშვილი, ლ. სტურუა** (სკოლის დირექტორი), **ა. სიმონიანცი, მ. გელაშვილი;** მეორე რიგში — **მ. საბაშვილი, ქ. კალანდაძე** და **ზ. აბაშიძე.**

ფოტო რ. აკოფოვისა.

აზერბაიჯანის ლიტერატურის დეკადის შედეგები

25 მაისს მოსკოვის მწერალთა კლუბში შესდგა აზერბაიჯანის ლიტერატურის დეკადის შედეგებისადმი მიძღვნილი თათბირი. თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფადეევი, რომელმაც აღნიშნა, ჩატარებული დეკადა დიდ კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენსო.

— დეკადისადმი ინტერესი დიდი იყო. ათასობით ადამიანი გაეცნო აზერბაიჯანის კლასიკოსებსა და თანამედროვე აზერბაიჯანულ პოეზიას. ამას დიდად უწყობდნენ ხელს რუსი მწერლები — მთარგმნელები ამხ. ადალისი, ასეევი, ანტოკოლსკი, ლუგოვსკოი, შაგინიანი, ლიფსკეროვი, პანჩენკო და სხვები. მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად სწარმოებს პროზაიკულ ნაწარმოებთა თარგმნა. დეკადამ დაგვანახვა, რომ ნაპოვნია შემოქმედებითი კავშირის ახალი ფორმა, რაც ახლა ყოველნაირად უნდა განვავითაროთ. საჭიროა შემოვიღოთ ლიტერატურული დეკადები არა მარტო მოსკოვში, არამედ ნაციონალურ რესპუბლიკაშიც, სადაც დროგამოშვებით გაემგზავრებიან მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების მწერლები.

აზერბაიჯანელი კრიტიკოსი მიკაელ რაფილი შეჩერდა აზერბაიჯანული ლიტერატურის განვითარების ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხზე, ორდენოსანმა პოეტმა სამედ ვურგუნმა მადლობა გადაუხადა რუს ლიტერატორებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს აზერბაიჯანული ლიტერატურის პოპულარიზაციას მკითხველთა ფართო მასებს შორის.

მომავალ წელს განზრახულია ჩატარდეს აზერბაიჯანის დიდი პოეტისა და ჰუმანისტის ნიზამის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაული. ეს იუბილე სსრ კავშირის ხალხთა დიდი კულტურული დღესასწაული იქნება. ბაქოში გამოშვებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ე. ე. ბერტელსის ბიოგრაფიული წიგნი ნიზამის შესახებ და რამდენიმე მასობრივი გამოცემა. მოსკოვში ნიზამის პოემების თარგმანზე მუშაობენ: პ. ანტოკოლსკი, ვ. დერჟავინი და ვ. ლუგოვსკოი. სახელმწიფო ლიტგამომცემლობა გამოუშვებს კრიტიკული სტატიების კრებულს. ამ დღეებში დასაბეჭდად გადაეცემა ნიზამის „ლირიკა".

(საკდესი).

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

26 მაისს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ორგანიზაციის არსებობის XV წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მუშები, მშრომელი ინტელიგენცია და დიასახლისები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქ. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. სახაროვმა.

მქუხარე ტაშით და აღფრთოვანებული შეძახილებით კრებამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმში ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** და მისი თანამებრძოლები, ამხანაგები **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ჟდანოვი, მიქოიანი, ანდრეევი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, დიმიტროვი, ჩარკვიანი** და **ბაქრაძე.**

საზეიმო სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. სახაროვის მოხსენება საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის განვლილი მუშაობის შესახებ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს პროფკავშირების სახელით — ამხ. შ. სიხარულიძე, საქართველოს გეოფიზიკური ინსტიტუტიდან — პროფ. ევ. ბიუსი, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის უღმერთოთა კავშირის აქტივისტი ქალი ამხ. ელ. თურქია, საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. იავრიანი და სხვ.

კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხანაგ **კ. ჩარკვიანს** და სსრ კავშირის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ე. იაროსლავსკის.**

საზეიმო სხდომის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

საქართველოს უდიდესი სამეცნიერო ცენტრი

ამ დღეებში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა მოისმინა მოხსენება თბილისის **ი. ბ. სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ. ეს უმაღლესი სასწავლებელი არის საქართველოს კვლევითი მუშაობისა და სამეცნიერო კადრების მომზადების უდიდესი ცენტრი.

თბილისის უნივერსიტეტში მუშაობს ექვსი აკადემიკოსი და მეცნიერებათა აკადემიის წევრი—კორესპონდენტი, 60 პროფესორი. მრავალ მათ შრომას დამსახურებულად აქვს მოხვეჭილი სახელი მთელ საბჭოთა კავშირში. აკადემიკოსი ჯავახიშვილი დიდი წარმატებით მუშაობს საქართველოს ისტორიის დარგში, აკადემიკოსი მუსხელიშვილი—დრეკადობის თეორიის დარგში, აკად. ბერიტაშვილი — ადამიანის ნერვული მოქმედებისა და ცხოველთა ყოფაქცევის შესწავლაზე, პროფ. თვალჭრელიძე გუმბრინისა და ქალკედონის შესწავლაზე, რომელთაც ნავთისა და მეტალურგიის მრეწველობაში იყენებენ. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა გამოუშვა 30 სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის: ანალიზური გეომეტრიის კურსის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიისა და სხვ.

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა წინადადება მისცა უნივერსიტეტის რექტორს გააფართოვოს სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის თემატიკა. კერძოდ, საქართველოს მეცნიერებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მევენახეობის, ჩაის, ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების განვითარების პრობლემებს. გათვალისწინებულია ჩატარებულ იქნას რესპუბლიკის საწარმოო ძალთა შესწავლისადმი მიძღვნილი კონფერენციები. გადაწყდა მომავალი სასწავლო წლიდან თბილისის უნივერსიტეტში მოეწყოს ფილოსოფიური ფაკულტეტი და კლასიკური ფილოლოგიის კათედრა. (საკდესი).

კინემატოგრაფიის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა კინემატოგრაფიის მუშაკთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: ბოგოლიუბოვი — მსახიობი, შახოვის როლის შემსრულებელი კინოსურათში „დიდი მოქალაქე", და კრიუჩკოვი — მსახიობი, კლიმ იაკროს როლის შემსრულებელი კინო-სურათში „ტრაქტორისტები".

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 13 კაცი; **„საპატიო ნიშნის"** ორდენით დაჯილდოებულია 43 კაცი; მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"**—10 კაცი.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე საომარი მოქმედების კინოსურათების გადაღების დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის და კინოფილმ „მანერჰაიმის ხაზის" გამოშვებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა კინოქრონიკის მუშაკთა ჯგუფი.

„წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი; **„საპატიო ნიშნის"** ორდენით დაჯილდოებულია 2 კაცი; მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** დაჯილდოებულია ორი კაცი.

გორი—სტალინირის გზის მშენებლობაზე დაიწყო ლიანდაგის დაგება

დღითი-დღე ძლიერდება იმ ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ტემპები, რომელიც დიდი **სტალინის** სამშობლო ქალაქ გორს შეაერთებს სამხრეთ - ოსეთის დედაქალაქ სტალინირთან.

დასასრულს უახლოვდება **მიწის** სამუშაო ვაკისის მოსაწყობად. დაიწყო ლიანდაგის დაგება, რომელიც ორივე მხარეზე სწარმოებს გზის მე-7 კილომეტრიდან. ორივე უბანზე უკვე დაგებულია **5** კილომეტრი ლიანდაგი; დასაგებია კიდევ 29 კილომეტრი.

გზის იმ უბანზე, სადაც გამოყენებულია მექანიზაცია, მუშაობს ლიანდაგის დამგებელთა ბრიგადა წარჩინებული რკინიგზელის ამხ. ჩოჩიას ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე უბანზე მუშაობს ამხ. ფარსეგაშვილის კოლონა. ორივე კოლონას შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ლიანდაგის უკეთ დაგებისათვის. მშენებელნი მთელ ძალღონეს ხმარობენ, რათა ახალ ხაზზე — გორსა და სტალინირს შორის — მატარებელთა მიმოსვლა უმოკლეს ხანში დაიწყოს. (საქდესი).

მანგლის—თბილისის გზატკეცილის რეკონსტრუქცია

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

მანგლის-თბილისის გზა სათანადოთ კეთილმოწყობილი არ იყო. უბედურ შემთხვევებსაც ჰქონია ადგილი ამ გზაზე. კლდეებში შეჭრილი, თვალჩაუწვდენელ უფსკრულებზე გადამდგარი, აღმართ-დაღმართებითა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მოსახვევით გართულებული ვიწრო და სახიფათო გზა—აი, რით უკავშირდებოდა აგარაკი მანგლისი თბილისს.

მანგლისის ზონის მოსახლეობამ წამოაყენა საკითხი ამ გზის კეთილმოწყობის შესახებ.

მანგლისის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ინიციატივით, ფერგანელთა გამოცდილების მაგალითზე, გაიშალა მუშაობა მანგლის-თბილისის გზატკეცილის მშენებლობაზე.

ბუდიონელთა მოწოდებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ალბულაღის რაიონის მოსახლეობაში. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ალბულაღის პარტრაიკომი. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა საგზაო მშენებლობის სამმართველომაც დიდი დახმარება აღმოუჩინა კოლმეურნეებს და გაჩაღდა მუშაობა.

მანგლისის ზონის 40 კოლმეურნეობა ერთსულოვნად მონაწილეობს გზის რეკონსტრუქციაში. მათ მიერ 7 დღის განმავლობაში გზაზე გამოზიდულ იქნა 3000 კუბური მეტრი ქვა. მშენებლობაში მამაკაცებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს 600-ზე მეტი ქალი. ბრიგადებსა, ჯგუფებსა და რგოლებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. ს. ვიტუხინი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან—ამხ. ს. მიხაილოვი, პატარა თონეთის კოლმეურნეობიდან —ამხ. ლოლიაშვილი და სხვ.

საგზაო მშენებლობაში დიდ აქტივობას იჩენენ მანგლისის სადაბო საბჭო (თავმჯდომარე მ. ავაქოვი) და პრიუტის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე მ. გოზალოვი).

ბრიგადებსა და რგოლებში გამოდის კედლის გაზეთები, სწარმოებს გაზეთების ხმამაღალი კითხვა და საუბრები საერთაშორისო მდგომარეობაზე. კოლმეურნეები ეცნობიან პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს.

გზატკეცილის მშენებლობას უშუალოდ ხელმძღვანელობენ ალბულაღის პარტრაიკომის მდივანი ამხ. კოჩლაძე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ოვანოვი.

აქ. ჩაცლეიშვილი

პატარა ფელეტონი

ვისარგებლებთ, ოღონდ გვასარგებლეთ!

სდუღს და გადმოდის სისხლსრული სოციალისტური ცხოვრება. კომუნიზმის ლოკომოტივის ძლევამოსილ სრბოლაში წელიწადი საუკუნეს ნიშნავს. დროისა და სივრცის განზომილება თვალის დახამხამებაში ძველდება. ახალი ცხოვრების ქარტეხილი ისტორიის ნაპრალებში ნაფოტებივით ისვრის ყველაფერს, რაც მის ფრთაშესხმულ გაქანებას წინ ეღობება.

ცა, ზღვა თუ ხმელეთი ადამიანის მორჩილებაშია. ეთერის ოდნავი რხევაც კი ადამიანს ძოუთოკავს და თავის სამსახურში დაუყენებია.

და ჩვენი ცხოვრების ასეთი მჩქეფარე ტემპების დროს, როცა ყოველ საათს და ყოველ წუთს მსოფლიო მნიშვნელობის ამბების მოტანა შეუძლია, მითხარით, რა გუნებაზე დადგებით, თვითმფრინავით გამგზავრებული ჩარდახიან ურემზე რომ გადაგსვან და გაჯახირონ!?

საქმის ვითარება ასეთია. ჩვენმა გაზ. „კომუნისტის" მოსკოველმა კორესპონდენტმა 11 მაისს იმ ანგარიშით, რომ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის დღისათვის დაგვებეჭდა, გადმოგვიგზავნა ბეჭდვითი სიტყვის პავილიონის მთავარი რედაქტორის ამხ. ს. კორეის სტატია და სხვა წერილები.

მკითხველი მიხვდება, რომ გაზეთი ემზადებოდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის დღისათვის. იგი ნახავდა ამ დღისადმი მიძღვნილს სპეციალურ ნომერს, რომელშიც ეს სტატია არ არის მოთავსებული...

11 მაისს მოსკოვში საფოსტო თვითმფრინავი მოსწყდა აეროდრომს და თან წამოიღო რედაქციისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ავიაფოსტა. თვითმფრინავმა რამდენიმე საათის განმავლობაში გადასერა დიადი სოციალიზმის ქვეყნის თვალუწვდენი სივრცე და დაეშვა თბილისის აეროდრომზე.

როგორც ვთქვით, 15 მაისის სპეციალურ ნომერში ამხ. კორეის სტატია და სხვა გამოგზავნილი წერილები არ მოხვდა.

არ იკითხავთ, რატომ? თბილისის აეროდრომზე მოსული ავიაკორესპონდენცია კავშირგაბმულობის რწმუნებულის სამმართველოს განყოფილების მუშაკებმა ზურგზე აჰკიდეს კუს და გადმოგვცეს რამდენიმე დღის შემდეგ—15 მაისს, როცა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაც გახსნილი იყო და გაზეთიც გამოსული.

„კომუნისტის" მკითხველებმა, სრული დარწმუნებული ვართ, კმაყოფილების გრძნობით წაიკითხეს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შემდეგი განცხადება:

„მოქალაქენო, ისარგებლეთ ავია-ფოსტით! გაიხსნა ყოველდღიური რეგულარული საჰაერო საფოსტო მიმოსვლა, აგზავნეთ თვითმფრინავით საფოსტო გზავნილებანი სსრ კავშირში და საზღვარგარეთ"...

სიამოვნებით ვისარგებლებთ, ოღონდ გვასარგებლეთ, თქვე ოჯახაშენებულებო! თვითმფრინავით მოტანილი ფოსტა თუ კუს აჰკიდეთ ზურგზე, ასე ცხოვრებას ვერ დავეწევით. კუს ტემპებით მომუშავენი სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრების სწრაფ სრბოლაში გამოუსადეგარნი არიან.

— ისარგებლეთ ავია-ფოსტით,—გვეუბნებიან.

ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ, ოღონდ გვასარგებლეთ!

გერმან შუბიძე.

ომი დასავლეთ ევროპაში

საომარი მოქმედების დღიური

24 და 25 მაისი

ჩრდილოეთ საფრანგეთში და ფლანდრიაში გერმანიის ჯარმა, რომელიც სანაპიროს მიმართულებით უტევს, ორი დღის განმავლობაში წინ წაიწია.

ფლანდრიაში მათ აიღეს ქალაქები ტურნე, გენტი და კურტრე და გადალახეს მდინარე ლისი.

გერმანიის სწრაფმოძრავი მოტორიზებული ნაწილები არასის რაიონში გაიჭრნენ და სანაპიროზე გავიდნენ. საფრანგეთის ნავსადგური ბულონი, გერმანელთა ცნობებით, მათ ხელშია. სერიოზული ბრძოლაა ჩრდილოეთ საფრანგეთის მეორე დიდი ნავსადგურის — კალეს გარშემო.

გააფთრებული ბრძოლა გრძელდება ვალანსიენ-არასის უბანზე, სადაც მოკავშირეთა ჯარები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ გერმანიის ჯარის ნაწილებს.

საერთო მდგომარეობა საომარი მოქმედების დასავლეთ-ევროპის ასპარეზის ჩრდილოეთ უბანზე დღეისათვის შემდეგნაირად გვეხატება:

გერმანიის ჯარს ყველაზე მეტი წარმატება აქვს თავის ორივე ფლანგზე. აბვილის დაპყრობით მან მოკავშირეთა ჩრდილოეთის დაჯგუფება საფრანგეთის არმიის მთავარ ძალებს მოსწყვიტა. გერმანელთა მიერ გენტის დაკავებისა და მდინარე ლისის გადალახვის შემდეგ, ჩრდილოეთიდან მოკავშირეთა ჯარების დაჯგუფების სრული გარემოცვის დამთავრების საფრთხე გაიზარდა.

ვალანსიენ - არასის ცენტრალური უბანი უაღრესად სასტიკი ბრძოლის და მოკავშირეთა ჯარების მხრივ მედგარი წინააღმდეგობის ასპარეზს წარმოადგენს. მაგრამ აქაც გერმანიის მოტომექანიზებული ნაწილები, რომლებმაც ხაზი გაარღვიეს, არა მარტო გავიდნენ სანაპიროზე, არამედ გზებზე და მოკავშირეთა ზურგშიც მოქმედებენ. მაგრამ მოკავშირეთა ჩრდილოეთის ჯგუფის ბრძოლისუნარიანობა ჯერ კიდევ გატეხილი არ არის. გერმანიის ჯარი ჩრდილოეთ საფრანგეთისა და ბელგიის ნავსადგურებისაკენ შემდგომი წინსვლის დროს მოკავშირეთა ჯარის სერიოზულ წინააღმდეგობას შეხვდება.

გერმანელების იერიში, რომელიც მათ მოაწყვეს 24 მაისს სედანის სამხრეთით, უეჭველია, მიზნად აქვს შეჰბოჭოს საფრანგეთის ჯარი და შესაძლებლობა არ მისცეს მოკავშირეთა სარდლობას, რომ ფრონტის ამ უბნიდან ჯარი გადაიყვანოს იმ რაიონში, სადაც გერმანელებმა ფრონტი გაარღვიეს.

ორივე მხარის ავიაცია, ისევე როგორც წინადღეებში, განაგრძობდა მტრის კომუნიკაციების, ჯარის კოლონებისა და გემების ბომბარდირებას. მოკავშირენი დიდი მასშტაბით იყენებენ თავიანთ საჰაერო ძალებს, რათა ებრძოლონ გერმანიის მოტომექანიზებულ ნაწილებს, რომლებიც წინ არიან გაჭრილნი.

გერმანიის თვითმფრინავები ინგლისის ტერიტორიაზე

ლონდონი, 25 მაისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობას, რომ გუშინ, ნაშუადღევს, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს იორკშირის რაიონში. ბომბარდირების შედეგად დაჭრილია 8 მოქალაქე. ყუმბარები ჩამოყრილ იქნა აღმოსავლეთ ინგლისის სხვა რაიონებშიც, მაგრამ მსხვერპლი არა ყოფილა.

გერმანია უარყოფს

ბერლინი, 24 მაისი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ფანტასტიკურს უწოდებს უცხოეთის ცნობას იმის შესახებ, რომ ჰოლანდიის არმიას 100 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს და რომ როტერდამზე საჰაერო თავდასხმების დროს მოკლულ იქნა 100 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. ჰოლანდიაში ბრძოლის სწრაფად შეწყვეტასთან დაკავშირებით, — აღნიშნავს სააგენტო, — ჰოლანდიის არმიის ზარალი განსაკუთრებით მცირე იყო. თუმცა საბოლოო ცნობები ჯერ არ მოიპოვება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება აღინიშნოს, რომ მოკლულთა რიცხვი 2 ათას კაცზე ნაკლებია. როტერდამშიაც ზარალი უმნიშვნელოა, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა ხელისუფალთა განკარგულებით ჯერ კიდევ საჰაერო თავდასხმამდე გავიდა ქალაქიდან. მოკლულთა რაოდენობა, გაზეთ „ტელეგრაფის“ 18 მაისის ცნობის თანახმად, 400 კაცს არ აღემატება. დაჭრილია 365 კაცი.

რეიტერის სააგენტო უარყოფს

ლონდონი, 25 მაისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ავტორიტეტულ წრეებში კატეგორიულად უარჰყოფენ გერმანელთა განცხადებას იმის შესახებ, რომ 9 აპრილიდან 22 მაისამდე ჩაძირულ ან სერიოზულად დაზიანებულ იქნა ინგლისის 15 სახაზო გემი, 46 კრეისერი, 3 ავიამზიდი, 44 საესკადრო ნაღმოსანი და 29 წყალქვეშა ნავი. სააგენტოს ცნობებით, 2 სახაზო გემი — „როდნეი“ და „რინოუნი“ მართლაც დაზიანებულ იქნა მსუბუქად. ამ ხნის განმავლობაში დაიღუპა მხოლოდ ერთი კრეისერი — „ეფინჰემი“. გარდა ამისა, ჩაძირულია ინგლისის 7 საესკადრო ნაღმოსანი და 4 წყალქვეშა ნავი.

ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ომი

ნიუ-იორკი, 25 მაისი (საქდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, გადამდგარმა ამერიკელმა გენერალმა ორიანმა წინადადება მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუყოვნებლივ გაჰგზავნონ ინგლისსა და საფრანგეთში 2 ათასი სამხედრო თვითმფრინავი მფრინავებითურთ, აგრეთვე ავიამზიდები და სხვა სამხედრო გემები. დიდი ამერიკული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლის-საფრანგეთის ფლოტი „ამერიკის უშიშროების დასაყრდენს“ წარმოადგენს და რომ „ინგლისისა და საფრანგეთის დამარცხება კატასტროფა იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“.

უკანასკნელ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო ინგლისისა და საფრანგეთის დამხმარე რამდენიმე ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებში შევიდნენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი და საქმიანი წრეების წარმომადგენელნი. საომარი ციებ-ცხელება შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით გაძლიერდა რუზველტის სიტყვის შემდეგ, რომელშიაც მან აღნიშნა „ამერიკის შეერთებულ შტატებზე ჰაერიდან უცხოელთა თავდასხმის“ საშიშროება. კონგრესმა უმაგალითო სისწრაფით მოიწონა ასიგნობანი სამხედრო საჭიროებისათვის; ასეთი დიდი ასიგნობანი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას არ ახსოვს. მთავრობამ დასახა აგრეთვე მთელი რიგი ახალი საჰაერო ბაზების მშენებლობა ატლანტისა და წყნარი ოკეანის სანაპიროზე. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობენ ინგლისისა და საფრანგეთის გაჭირვებული მდგომარეობა გამოიყენონ იმისათვის, რომ სამხედრო ვალების ანგარიშში შეიძინონ ამ ქვეყნების სამფლობელოები, რომლებიც კარაიბის ზღვაში მდებარეობს.

მსხვილი მრეწველნი, კონგრესის რეაქციონერი წევრები და ბურჟუაზიული პრესა ცდილობენ იმ კანონების გაუქმებას, რომლებიც სამუშაო დღეს და შრომის ხელფასს აწესრიგებენ. საბაბად იმას იყენებენ, რომ ეს კანონები ხელს უშლიან ნაციონალური თავდაცვის განმტკიცებას.

მოპიკირე ყუმბარმშენები

პირველად მოპიკირე ყუმბარმშენები დიდი რაოდენობით იქნა გამოყენებული გერმანია-პოლონეთის ომის დროს. მათი მარჯვე დარტყმა მიმართული იყო რკინიგზის კვანძების, ხიდების, გზატკეცილების შესაყარის, რადიოსადგურებისა და მთავარი ბანაკების წინააღმდეგ. ამ ობიექტების დანგრევამ მეტისმეტად გააძნელა პოლონეთის არმიის მობილიზაციის ჩატარება, ჩაშალა ტვირთზიდვა, გაართულა ჯარისადმი ხელმძღვანელობა. პოლონეთის არმიის ზურგი იმდენად დეზორგანიზებული იყო, რომ ომის დამთავრებამდე პოლონელებმა ვერ შესძლეს თავისი ძალების გადაჯგუფება.

დასავლეთის ფრონტზე — ჰოლანდიასა, ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში— წარმოებული საბრძოლო ოპერაციების დროს გერმანიის მოპიკირე ყუმბარმშენები დახმარებას უწევენ ჯარის წინსვლას იმ მხრივ, რომ ისინი ყუმბარებს უშენენ მტრის ცეცხლსასროლ პუნქტებსა და ბატარეებს. მათ აგრეთვე იერიში მიაქვთ ტანკების კოლონებსა და ჯარზე, რომლებიც ბრძოლის ველისაკენ მიდიან. მოპიკირე ყუმბარმშენები ფაქტიურად მოქმედებენ მოკავშირეთა გემების წინააღმდეგ ზღვაში. ცნობილია, რომ მათ ნორვეგიის ნაპირებთან მწყობრიდან გამოიყვანეს ინგლისის სახაზო გემი „უორსპაიტი“.

ევროპის ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოპიკირე ყუმბარმშენები ახალ და უაღრესად ეფექტიურ იარაღს წარმოადგენენ, ხოლო პიკირების დროს ყუმბარების დაშენა — ყუმბარმშენი ავიაციის მოქმედების ერთერთი ძირითადი საშუალებაა. მიუხედავად ამისა, ბევრ საჰაერო ფლოტში უკანასკნელ დრომდე ამ ახალი იარაღის შეუფასებლობას იჩენდნენ.

რას წარმოადგენს პიკირების დროს ყუმბარების დაშენა?.

პიკირების დროს ყუმბარების სროლა ადიდებს მიზანში მარჯვედ მოხვედრას (ერთი-ორად, ერთი-სამად) და უფრო უშიშარია საზენიტო არტილერიის ცეცხლის ზონაში ჰორიზონტალურ სროლასთან შედარებით. პიკირების დროს ყუმბარების ჩამოყრა ადიდებს ყუმბარების დამანგრეველ ძალას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტრუქტიულად მტკიცე სამიზნოებზე იერიშის მიტანის დროს. პიკირების დროს შესაძლებელია სამიზნოსათვის ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების დაშენა.

პიკირება—ეს არის თვითმფრინავის თითქმის პირქვე დაშვება, რომლის დროსაც იგი ჰორიზონტის ხაზთან დიდ კუთხეებსა ჰქმნის. დამიზნება ხორციელდება მთელი თვითმფრინავის დაშვებით. ვინაიდან თვითმფრინავი მიზნის მიმართულებით მიფრინავს, მისი ადგილგადანაცვლების კუთხის სისწრაფე მიზნის მიმართ მნიშვნელოვნად მცირდება. ამასთან ფრენის სისწრაფის, სიმაღლისა და გაფრენის მიმართულების გამორკვევაში დაშვებული შეცდომები გაცილებით ნაკლებ გავლენას ახდენენ ყუმბარების დაშენის სიზუსტეზე. თვითმფრინავი არა ჰყრის ყუმბარებს მიზნიდან ერთგვარი დაშორებით, არამედ ყუმბარებს „ესვრის“ მიზანს. ყოველივე ეს იძლევა მცირე ობიექტების განადგურების შესაძლებლობას.

მიზანთან მიახლოვების დროს მანევრის თავისუფლება, პიკირების დროს თვითმფრინავის ადგილგადანაცვლების დიდი სისწრაფე ამცირებს საზენიტო ცეცხლისაგან გამოწვეულ ზარალს. ყუმბარის სისწრაფე ჩამოგდების მომენტში უკვე უდრის თვითმფრინავის სისწრაფეს. ყუმბარის ვარდნის სისწრაფის გადიდება კი აძლიერებს მის გამანადგურებელ მოქმედებას.

პიკირების დროს ყუმბარების დაშენის ყველა ეს თავისებურება ძალიან ეფექტიურ თვითმფრინავად ხდის მას თანამედროვე ომში.

მაგრამ უპირატესობასთან ერთად პიკირების დროს ყუმბარების დაშენას მთელი რიგი ნაკლიც ახასიათებს. სამიზნოზე იერიშის მიტანა შეიძლება მხოლოდ მცირე ქვედანაყოფებით, რაც საშუალებას აძლევს მტრის ავიაგანმანადგურებლებს თავს დაესხან მცირე ჯგუფებს ან ერთეულ თვითმფრინავებს.

პიკირების დროს ყუმბარების დაშენა მოითხოვს სპეციალური ტიპის თვითმფრინავების გამოყენებას. გერმანიის საჰაერო ფლოტს იმპერიალისტური ომის დაწყების დროისათვის ჰქონდა მოპიკირე ყუმბარმშენთა სპეციალური ავიანაწილები. ეს ნაწილები შეიარაღებული იყვნენ „იუნკერს—87“ და „ჰაინკელ—123“ თვითმფრინავებით. ხანგრძლივი პიკირება და ამ პიკირებიდან გამოსვლა დაკავშირებულია თვითმფრინავის დიდ გადატვირთვასთან. აქედან თვითმფრინავს მოეთხოვება, რომ მას ჰქონდეს სიმკვრივის დიდი მარაგი.

ტექნიკურმა აზროვნებამ წარმატებით გადასჭრა პიკირებასთან დაკავშირებული სიძნელეები. უნდა მოველოდეთ, რომ უახლოეს დროში მოპიკირე ყუმბარმშენები კიდევ უფრო გაუმჯობესდება და მტკიცედ დამკვიდრდება ყველა ქვეყნის საჰაერო ფლოტების სისტემაში.

კაპიტანი ნ. კრაინევი.

გერმანიის ხელისუფალთა განკარგულება ნორვეგიაში

ოსლო, 25 მაისი (საქდესი). ნორვეგიის ოკუპირებული ოლქების გერმანიის მთავრობის კომისრის პრესის განყოფილებამ ნორვეგიის გაზეთების რედაქციებს შემდეგი განკარგულება დაუგზავნა: „აკრძალულია იმ ცნობების გამოქვეყნება, რომლებიც მომდინარეობენ მტრული წყაროებიდან, განსაკუთრებით ჰავასისა და რეიტერის სააგენტოებს, საფრანგეთის, ინგლისის და ჩრდილოეთ ნორვეგიის რადიოს ცნობების გამოქვეყნება. ის გაზეთები, რომლებიც ასეთ ცნობებს გამოაქვეყნებენ, აიკრძალებიან“.

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

ბერლინი, 25 მაისი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება: 24 მაისს გერმანიის თვითმფრინავებმა ნორვეგიის სანაპიროებთან დააზიანეს მტრის ავიამზიდი. გარდა ამისა, დაზიანებული იქნა მტრის კრეისერი, ერთი ტრანსპორტი, 2 სავაჭრო გემი და დიდი ტანკერი. ტანკერი იძულებული გახდა ნაპირზე გარიყულიყო.

ნარვიკის რაიონში მოქმედი გერმანიის ჯარის გასაძლიერებლად იქ დაეშვნენ სამთო მსროლელთა ნაწილები.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის თანაშემწის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 24 მაისი (საქდესი). სიტყვა წარმოსთქვა რა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ჯგუფის წინაშე, სამხედრო მინისტრის მოადგილემ ჯონსონმა მწვავედ დააყენა საკითხი „გრენლანდიისა და ჰოლანდიის ვესტ-ინდოეთის მომავალი დამოუკიდებლობის შესახებ“; მან განაცხადა, რომ ევროპის ომმა უკვე „ატლანტის ოკეანეს მიაღწია“. ჯონსონმა აღნიშნა: „გრენლანდია ამერიკაა. მისმა ყოფილმა მფლობელმა დანიამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა. გრენლანდიის ვესტ-ინდოეთი დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარეობს. მისი მფლობელი — ჰოლანდია—თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძვის. დღემდე ჩვენ უაღრესად ზედმიწევნით ვიცავდით ჩვენი ნახევარსფეროს თავისებურებას. ჩვენ თავიდან ვიშორებდით ყველას, ვინც კი ამერიკულ სტანდარტებს არ შეეფერებოდა. ამიტომ ამერიკელები დაინტერესებული არიან იმით, თუ ვინ იქნება გრენლანდიის გამგებელი. დასავლეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოებს აფიქრებთ ის საკითხი, თუ ვინ შეეცდება ხელში ჩაიგდოს ჰოლანდიის ვესტ-ინდოეთი. არაამერიკული სახელმწიფოს ხელში ამერიკის ტერიტორიის ეს ნაწილები საფრთხეს შეუქმნის მთელი დასავლეთი ნახევარსფეროს უშიშროებას“.

ნიკოლო პაგანინი

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)



ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი ვიოლინისტი-ვირტუოზი, „სამხრეთელი ჯადოქარი“, გენიალური კომპოზიტორი და შესანიშნავი დირიჟორი იტალიელი **ნიკოლო პაგანინი** დაიბადა 1782 წ. 27 ოქტომბერს გენუაში, კომერსანტის ოჯახში. მისი დაბადების დროს ბებიაქალმა, ამბობენ, ეშმაკი ახსენა და ამ დღიდან დაწყებული სიკვდილამდე კათოლიკური სამღვდელოება და ურიცხვი მტრები პაგანინის ჯადოქრულ ვირტუოზობას ამ ეშმაკს მიაწერდნენ, რომელსაც თითქოს პაგანინმა მიჰყიდა თავისი სული.

ნ. პაგანინი 6 წლისა იყო, შესანიშნავი მუსიკალური ნიჭი რომ გამოიჩინა. ამ დროიდან დაწყებული გამხდარი, გაყვითლებული, ულამაზო პატარა ნიკოლო მთელ დღეებს ოთახში ჯდომასა და ვიოლინოზე ვარჯიშს ანდომებდა. 9 წლის ნიკოლო გენუაში გამართულ კონცერტზე გამოდის და დიდ წარმატებას აღწევს. ბავშვობაშივე მან დასწერა რამდენიმე ნაწარმოები ვიოლინოსათვის, მაგრამ ისინი ისეთი რთული გამოდგა, რომ მის გარდა თითქმის ვერავინ ასრულებდა.

ნიკოლოს მუსიკას ასწავლიდა ჯერ მამა, შემდეგ გენუელი მუსიკოსი ჯიაკომო კოსტა. ამ უკანასკნელს პატარა მუსიკოსი ვერ შეურიგდა, რადგან იგი მუსიკაში ერთხელვე დამკვიდრებული წესების მიმდევარი იყო, ნიკოლოს ნიჭი კი ვერ ეგუებოდა ამგვარ შემზღუდავ წესებს.

პაგანინის ყველაზე უფრო სერიოზულ მასწავლებლად შეიძლება ჩაითვალოს მუსიკის დიდი თეორეტიკოსი პარმელი გირეტი. პარმის კონსერვატორიიდან პაგანინი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქ გენუაში. მამა მის საქმიანობას უყურებდა როგორც შემოსავლის ახალ წყაროს და არა როგორც დიდ შემოქმედებას. მალე მათი ურთიერთობა გამწვავდა. ნიკოლო სახლიდან გაიპარა. 1798 წლიდან იგი მოგზაურობს იტალიის ქალაქებში და მალე დიდი მუსიკოსის სახელს იხვეჭს, ხოლო 1828 წლიდან მიდის იტალიიდან და ბრწყინვალე კონცერტებს მართავს ჯერ ვენაში, შემდეგ გერმანიის, ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის ქალაქებში. 1833 წლიდან ცხოვრობს პარიზში.

როდესაც პაგანინი დავაჟკაცდა და მასთან ერთად დავაჟკაცდა მისი მუსიკაც, მის გარშემო გაიხლართა ცილისწამების ბინძური ქსელი. მოიგონეს მის დაბადებაზე ბებია-ქალის წყევლა და დაუმატეს — თითქოს ამ ეშმაკისეულმა პაგანინმა მოწამლა თავისი ცოლი და სიცოცხლეს გამოსალმა თავისი შეყვარებული. ყოველივე ეს სჭირდებოდა კათოლიკურ სამღვდელოებას პაგანინის ათეისტურ შეხედულებებთან საბრძოლველად, მის მოქიშპე ვიოლინოს დამკვრელებს კი მისი დიდი სახელის შესაბღალავად.

მაგრამ პაგანინი მითიური ჰერკულესივით იდგა და ყოველ კონცერტზე იმარჯვებდა სახელგანთქმულ ჩრდილოელ მეტოქე-ვიოლინისტებთან შეჯიბრებაში.

პაგანინის ვიოლინოს მუსიკა აღსავსე იყო შინაგანი ემოციური სიძლიერით, მომჯადოვებელი ბგერების ჟღერით. პაგანინი ვიოლინოს რომ უკრავდა, ისეთი აკორდები ისმოდა, თითქოს ათი ვიოლინო, ვიოლინოთა მთელი ორკესტრი უკრავდა ერთდროულად. პაგანინი ვიოლინოს რომ უკრავდა, იქმნებოდა ოთხხმიანი ბგერების ისეთი შერწყმა, როდესაც მელოდიის ფონზე ერთდროულად ჟღერს ორხმიანი პიციკატო*) და ჰქმნის ჯადოსნურ ჰანგებს. პაგანინი ვიოლინოს რომ უკრავდა, აღგზნებული მსმენელები თავს ველარ იკავებდნენ, წამოიჭრებოდნენ ადგილებიდან და პაგანინის ზურგს უკან ეძებდნენ იმ ორკესტრანტებს, რომლებიც თავიანთი ვიოლინოების დაკვრით თითქოს ეხმატკბილებოდნენ და ხელს უწყობდნენ პაგანინის მისი ძირითადი მელოდიის შესრულებაში.

გერმანიის დიდი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე თავის „ფლორენციულ ღამეებში“ ასე აგვიწერს პაგანინის ვირტუოზულ დაკვრას ვიოლინოზე: „...იგი ჭეშმარიტად რომ ჯადოქარი იყო, რომელიც ბრძანებლობს სტიქიებზე თავისი ჯადოსნური ქამანით. ქამანის შეხება სიმებზე, და გიჟური ღრიალი უკვე მოჰქროდა ზღვების ფსკერიდან; სისხლიანი ტალღები ეხეთქებოდნენ სალ კლდეებს და მიჰქროდნენ ზევით ისეთი სიძლიერით, რომ თითქმის აღწევდნენ ფერმკრთალ ცის თაღს და აფრქვევდნენ თავის წითელ შხეფებს მის შავ ვარსკვლავებს. ირგვლივ ყველაფერი ღმუოდა, ღრიალებდა, გმინავდა, თითქოს ინგრეოდა მთელი მსოფლიო... ბოლოს მომესმა განთავისუფლების მხიარული ყიჟინა და წითელი, სისხლიანი ტალღებიდან თავები ამოჰყვეს ხუნდებაყრილმა დემონებმა...ეს იყო იმდენად გონებაამრევი სურათი, შექმნილი ბგერებით, რომ, გონს რომ მოვსულიყავი, ყურები დავიხშე და თვალები დავხუჭე...“

პაგანინის ასეთი სენსაციური წარმატება აიხსნებოდა არა მარტო მისი ღრმა მუსიკალური ნიჭიერებით, არამედ ვიოლინოს დაკვრის გასაოცარი ტექნიკითაც. პაგანინის აზრით, ვიოლინოს დაკვრის ყველა საშუალება ჯერ კიდევ არ იყო სავსებით გამოყენებული და ამიტომ მას შექონდა მრავალი ახალი და გაბედული ხერხი ვიოლინოს დაკვრის ხელოვნებაში. მისი ვიოლინოს ქამანი ჩვეულებრივზე უფრო გრძელი იყო და სიმები ვიოლონჩელისა ჰქონდა გაბმული. მის განკარგულებაში იყო ყველა შესანიშნავი ოსტატის მიერ (ამატი, სტრადივარი) გაკეთებული ვიოლინო, რომელთა შორის მისთვის ყველაზე საყვარელი და განუყრელი იყო ჯუზეპე გვარნერის მიერ (დელ ჯუზე—ასე ეძახდნენ მას) გაკეთებული ვიოლინო. პაგანინიმ კოლოსალურად გააფართოვა და გაამდიდრა ვიოლინოს დაკვრის ვირტუოზობის საშუალებანი.

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ის იყო, რომ პაგანინიმ შექმნა ეგრეთწოდებული „მქრობადი სიმების მუსიკა“. ეს იყო მუსიკალური თემების ისეთი შენაერთი, შეკრული ისეთი რთული ფორმით, რომ პაგანინის სიკვდილის შემდეგ მისი ამ ნაწარმოების შემსრულებელი აღარავინ აღმოჩნდა. ეს იყო ზღაპრულად უძნელესი მუსიკა, რომლის შესავალი ნაწილი სრულდებოდა ყველა ოთხ სიმზე, შემდეგ ვარიაცია შეუმჩნევლად გადადიოდა მსუბუქი პოლონური ცეკვის შესრულებაზე და მიმდინარეობდა ორ სიმზე და, ბოლოს, უკანასკნელი ნაწილი შესდგებოდა ადაჟიოსაგან (წყნარი, ნელი ტემპით შესრულებული მუსიკა), რომელიც სრულდებოდა ერთ სიმზე.

— რომ შეიძლებოდეს რონდოს დაწერა და მისი შესრულება უსიმებოდ, ეს იქნებოდა იმ ბგერებისათვის ხორცის შესხმა, რომლებიც ჩემში არიან და სიმებით ვერ გადმომიცია,—ამბობდა პაგანინი.

თავისი დემონური, შმაგი ვირტუოზული ტემპერამენტით ნ. პაგანინიმ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მის თანამედროვე კომპოზიტორებზე, ფორტეპიანოს პოეტებზე—ლისტზე, შუმანზე, შოპენზე. პაგანინი ზეგავლენას ახდენდა თავისი ეპოქის მუსიკოსებზე არა მარტო თავისი ფენომენალური ტექნიკით, არამედ მუსიკალური თემის თავისი გენიალური გადმოცემით, რომლისთვისაც ბრწყინვალე ტექნიკა მხოლოდ საშუალება იყო და არა მიზანი.

ნ. პაგანინიმ, ბგერების ამ შესანიშნავმა მხატვარმა, გაამდიდრა ვიოლინოს ლიტერატურა სონეტებით, ვარიაციებით, ეტიუდებით, 24 „კაპრიჩიოთი“ და სხვ. ნ. პაგანინი კონცერტებზე ჩვეულებრივ საკუთარ ნაწარმოებებს ასრულებდა. თავისი ვირტუოზული ხელოვნება პაგანინიმ უანდერძა თავის მოწაფეს კამილო სივორის (1815-1894).

აღსანიშნავია, რომ პაგანინიმ უდიდეს დახელოვნებას მიაღწია აგრეთვე გიტარის დაკვრაში. ეს იყო ვირტუოზული ტექნიკის ახალი სასწაული.

ნიკოლო პაგანინი გარდაიცვალა 1840 წ. 27 მაისს ქ. ნიცაში ჭლექით, გარდაიცვალა ისე, რომ არ მიიკარა აღსარებისათვის მღვდელი. ამას კათოლიკური ეკლესია, რასაკვირველია, არ აპატიებდა ნ. პაგანინის. მისი გვამის დასაფლავება აკრძალა რომის პაპმა. ნ. პაგანინი, თუთიის კუბოში ჩაჭედილი, დიდხანს დახეტიალობდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. მხოლოდ 1896 წ., გარდაცვალებიდან 56 წლის შემდეგ, ნება დართეს ნ. პაგანინი დაეკრძალათ პარმის მახლობლად, საკუთარ მამულში. აქ მას აღუმართეს მავზოლეუმი წარწერით „ნიკოლო პაგანინი“.

შ. გვინჩიძე.

---

*) მუსიკალური შესრულება, როდესაც ვიოლინისტი ნაცვლად ქამანისა თითებით აჟღერებს ვიოლინოს.

ოქროპირ წერეთლის უცნობი პიესა

საქართველოს სათეატრო მუზეუმში ამხ. დ. ჯანელიძემ წაიკითხა საინტერესო მოხსენება მეცხრამეტე საუკუნის უცნობი კომედიოგრაფის ოქროპირ წერეთლის დრამატურგიისა და თეატრის შესახებ.

1845 წლის 1 აპრილს სოფ. გორისში ოქროპირ წერეთელს დაუდგამს კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“. ეს პიესა ახლა სათეატრო მუზეუმში ინახება. ამხ. ჯანელიძემ დაწვრილებით გაარჩია პიესა და შეეცადა აღედგინა როგორც პიესის დადგმა-გაფორმების სურათი, ისე ავტორის ვინაობაც.

ოქროპირ წერეთელი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ერთერთი პირველი რეალისტი კომედიოგრაფია, რომელიც ასახავს იმერეთისა და ქართლის თავადაზნაურობის ყოფა-ცხოვრებას მძაფრ სატირიკულ ფერებში. კომედიის ფაბულა და სიუჟეტი თავისებურია. იგი სანახევროდ საიმპროვიზაციო სანახაობისათვის განკუთვნილ სცენარს წარმოადგენს, ხოლო სანახევროდ კი ლიტერატურულად გამართულ პიესის ტექსტს. ეს პიესა ქართულ ხალხურ სანახაობათა (ბერიკობა) საფუძველზე აღმოცენებულ ნაწარმოებს წარმოადგენს, თუმცა მთელი რიგი სცენები ჩვეულებრივი კომედიის წესისამებრ არის დაწერილი და მათში გამოყენებულია ევროპული თეატრის დრამატურგიის ხერხები. თავისი ხალხურობით, სცენიური წყობისა და განვითარების თავისებურობით იგი სრულიად გამოირჩევა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დრამატურგიის რკალიდან.

ოქროპირ წერეთელი, ამხ. დ. ჯანელიძის გამოკვლევით, არის მწერლის გიორგი წერეთლის ბიძა, სოფ. გორისის მცხოვრები, რომელიც მოხსენებული ჰყავს აკ. წერეთელს „ჩემს თავგადასავალში“.

ქართული თეატრის ისტორიის შესწავლისათვის ამხ. დ. ჯანელიძის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგი იქნება, რომ ოქროპირ წერეთლის პიესა ამხ. დ. ჯანელიძის მონოგრაფიით გამოვიდეს ცალკე წიგნად.

ელვის შემსწავლელი ექსპედიცია ბაკურიანში

ბაკურიანში გაემგზავრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენერგეტიკული სექტორის მეცნიერ მუშაკთა ექსპედიცია უფროს მეცნიერ მუშაკის ბ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციას დავალებული აქვს შეისწავლოს ელვის წარმოშობის მექანიკა და მისი ხასიათი.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენერგეტიკულ სექტორში ჩვენს თანამშრომელს გადასცეს, რომ ელვის წარმოშობის მექანიკისა და ე. წ. პერიმეტრის შესწავლას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ელვის მექანიკის შესწავლაზე მუშაობდნენ უცხოეთის ქვეყნებშიც, მაგრამ ყველაზე დიდი მუშაობა ამ მხრივ საბჭოთა კავშირშია გაშლილი.

ამჟამად საბჭოთა კავშირში მუშაობს ელვის შემსწავლელი რამდენიმე ექსპედიცია—რუსეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. ყველა ამ ექსპედიციების მუშაობას ხელმძღვანელობს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკული ინსტიტუტი.

ბაკურიანში გაგზავნილი ექსპედიციის მუშაობას განსაკუთრებული როლი ეკისრება ამ პრობლემის შესწავლაში.

გეოგრაფიულ საზოგადოებაში

27 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში (კეცხოველის ქ. № 11) შესდგება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნება პროფ. გ. ნ. გეხტმანის მოხსენება ქართულ ენაზე—„მ. ვ. ლომონოსოვი, როგორც გეოგრაფი“ და პროფ. ა. გ. ბალაბუევის მოხსენება რუსულ ენაზე—„მ. ვ. ლომონოსოვი, როგორც გეოფიზიკოსი“.

დასწრება თავისუფალია.

ახალი პრემიერა ქუთაისის თეატრში

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისის სახელმწიფო დრამატიულმა თეატრმა 23 მაისს დადგა მორიგი პრემიერა—ორდენოსანი დრამატურგის ს. კლდიაშვილის კომედია „გრაფის ქვრივი“. კომედია დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ანთაძემ. დადგმა გააფორმა მხატვარმა ვ. ცომაიამ, მუსიკა კომპოზიტორ თ. ვახვახიშვილისა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: შ. ხონელი, თ. კიკნაძე, ნ. წინამძღვარი, ა. ჭავჭანიძე, კ. აბესაძე, ს. ვაჩნაძე და სხვ.

პიესას დიდი წარმატება ჰქონდა.

ახალი სამედიცინო წიგნები

საქ. სამედიცინო გამომცემლობამ 1940 წლის პირველ კვარტალში გამოსცა შემდეგი წიგნები: პროფ. **გ. მუხაძე** — „სისხლის გადასხმა“, ექ. **გ. ფიცხელაური** — „პირველი დახმარება გვირაბში“, ექ. **ნ. კერკენჯია** — „დიზენტერია და მისი პროფილაქტიკა“, პროფ. **ა. ზურაბაშვილი** — „ფსიქიატრიის სახელმძღვანელო“, **გ. ბატკისი** — „სოციალური ჰიგიენა“, **ახუტინი** — „ქირურგიული დახმარება ხასანთან ბრძოლებში“, **ე. გოფუნგი** — „სტომატოლოგია“, **კარგერი** და **კრონენბერგი** — „ქიმიის სახელმძღვანელო“, **ბ. კრონენბერგი** — „ფიზიკის ელემენტები“, **შიმონოვიჩი** — „ემბრიოლოგიის საფუძვლები“.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2844664 გაბრიელ ილიას-ძე ძუკაევის, პარტბილეთი № 1537579 გოლა სოლომონის-ძე სარუხანოვის და პარტბილეთი № 2851311 ალექსანდრე გრიგოლის-ძე ჯილავდაროვის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძისა

24 მაისს გარდაიცვალა ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძისა, გამოჩენილი ქართველი მოღვაწის და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის მეუღლე.

ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძისა პირველ ქართველ რევოლუციონერ-ხალხოსან ქალთა საუკეთესო წარმომადგენელია.

იგი დაიბადა 1855 წელს. 1871 წ. დაამთავრა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი და იმავე წელს ჩაება რევოლუციურ მუშაობაში ხალხოსან-რევოლუციონერის ნადეჟდინას შემწეობით.

1873 წ. ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძე მწერალ გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის დახმარებით ახერხებს სხვისი პასპორტით, — მშობლების მკაცრი წინააღმდეგობის მიუხედავად, — საზღვარგარეთ გაპარვას. იგი არის ჯერ ციურიხის და შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი.

ჟენევაში ო. გურამიშვილი-ნიკოლაძისა ხდება ქართველ მოწინავე ახალგაზრდობის წრის „უღლის“ აქტიური წევრი და ახლო კავშირი აქვს იქ მყოფი რუსული ემიგრაციის საუკეთესო წარმომადგენლებთან—ტკაჩოვთან, ვერა ფიგნერთან, ნ. მოროზოვთან და ფრანგ კომუნისტებთან—ლეფრანსესთან და სხვ., მონაწილეობს ჟენევის ფედერატიული ინტერნაციონალის კრებებში და სხვ.

მისი მოღვაწეობა ამ პერიოდში აღწერილი აქვს, სხვათა შორის, ცნობილ რუს ხალხოსან-რევოლუციონერს ნიკოლოზ მოროზოვს წიგნში „ჩემი ცხოვრების მოთხრობა“.

1876 წ. ო. გურამიშვილი-ნიკოლაძე ბრუნდება საქართველოში და იწყებს პედაგოგიურ მუშაობას თბილისის ქართულ გიმნაზიაში (1876-1881). ამავე დროს ახლო მონაწილეობას იღებს გაზეთ „ობზორის“ საქმეებში, რომლის დახურვის შემდეგ მიემგზავრება პეტერბურგს. აქ მან დაჰყო მანამდე, სანამ „ობზორის“ რედაქტორი ნ. ნიკოლაძე სტავროპოლში იყო გადასახლებული.

პეტერბურგში ო. გურამიშვილი-ნიკოლაძე ესწრება კრებებს ნ. კ. მიხაილოვსკის კონსპირატიულ ბინაზე, ხვდება საბლინს, რომლის ბინაზე მზადდება მეფის მკვლელობა. მკვლელობის შემდეგ მას ორჯერ დაჰკითხა ლორის-მელიქოვმა და გააძევა პეტერბურგიდან სამშობლოში.

1882 წ. იგი ისევ ახერხებს პეტერბურგში დაბრუნებას ნიკო ნიკოლაძესთან ერთად და ხდება იმ მწერალთა წრის წევრი, რომლებიც სცემდნენ ჟურნალს „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“.

1885 წლიდან ო. გურამიშვილი-ნიკოლაძე თავის მეუღლესთან ერთად საქართველოშია. 80-იან წლებში რევოლუციურ წრეებთან კავშირის გამო იგი ჟანდარმერიის საიდუმლო თვალყურის დევნების ქვეშ იმყოფება. („რუსეთის რევოლუც. მოღვაწეების ლექსიკონი, 1929 წ. 2, გვ. 324).

ო. გურამიშვილი მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა ქართულ საზოგადოებრივ საქმეში და ხელს უწყობდა წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გაღვივებას.

შალვა დადიანი
გიორგი ლეონიძე
გერონტი ქიქოძე

კოტე მარჯანიშვილის ხსოვნის საღამო

25 მაისს ხელოვნების მუშაკთა კლუბში შესდგა ქართული საბჭოთა თეატრის ერთერთი დამაარსებლის კოტე მარჯანიშვილის ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა სახალხო არტისტმა შალვა დადიანმა.

კ. მარჯანიშვილის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა დ. ჯანელიძემ.

მოგონებებით კოტე მარჯანიშვილზე გამოვიდნენ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი—სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე, დამსახურებული მსახიობი ე. დონაური, პროფ. ა. ფაღავა.

დასასრულ ი. გრიშაშვილმა და პ. კობახიძემ წაიკითხეს საკუთარი ლექსები კ. მარჯანიშვილზე.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის—კ. მარჯანიშვილის, რუსთაველის, მოზარდ მაყურებელთა თეატრების მსახიობები და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკები.

მწერალთა კლუბში

27 მაისს, საღამოს 9 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში (მაჩაბლის, 13) შესდგება პროფ. **მ. გოგიბერიძის** მოხსენება თემაზე: **„ხელოვნების მარქსისტული თეორია“**. დასწრება თავისუფალია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „დაგვიანებული სასიძო“, **ოქტომბერი** — „მშვენიერი ვასილისა“, **დამკვრელი — საზაფხულო)** — „დაგვიანებული სასიძო“, **დამკვრელი (ზამთრის)** — „დაგვიანებული სასიძო“, **კომკავშირელი (საზაფხულო)** — „დაგვიანებული სასიძო“, **კომკავშირელი (ზამთრის)** — „კენდლილიარ“, **ლუქსემბურგის სახ.** — „კენდლილიარ“, **26 კომ. სახ.** — „მეთაურთა ახალგაზრდობა“, **კომინტერნი** — „სოროჩინის ბაზრობა“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „პატრიოტი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ა. წ. 4 ივნისს, საღამოს 8 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1), აუდიტორია № 93, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **სერგო ესტატეს-ძე ჭილაია** დაიცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„შიო არაგვისპირელი“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგ. მეც. დოქტორი პროფ. **მ. ზ. ზანდუკელი.** დოცენტი **შ. რადიანი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე.
100

ტრესტ „ტყიბულქვანახშირს“ სასწრაფოდ ესაჭიროება ქ. ტყიბულში მუდმივ სამუშაოზე შემდეგ სპეციალობათა მოსამსახურენი:
1. მემანქანე—სტენოგრაფისტი,
2. მინაგრაფისტი.
პირობები შეთანხმებით მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი. მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ტყიბული, ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სამმართველო.
250

ექიმი
მძინარიშვილი
სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), კანის და ვენერიული სნეულებანი, ქალების და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფების მიღება დილის 8—10 საათამდე და საღამოს 8—10 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57, მე-4 შესავალი, მე-2 სართული. 4542

ე. ბურჭულაძე, შ. ქინქლაძე, ნ. ლომიძე, შ. კეკელია, ნ. ძიძიგური, ნ. ფოჩხუა, გ. გიორგაძე, დ. მაჭავარიანი, ს. შარაძენიძე იუწყებიან ელენე და ირაკლი ბათიაშვილებს დის ორდენოსანი მასწავლებლის
ნინო ბათიაშვილი-კორინთელის
გარდაცვალებას. 6520

საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან პროფ. რუსუდან ნიკოლაძის დედის
ოლღა ალექსანდრეს-ასულ ნიკოლაძის
გარდაცვალებას. 6519

მიშა, ვერა, კატუშა, დათიკო, ნინო, კონსტანტინე, ნინო ცაგარეიშვილები, ლუბა, კოტე ადამიები, ქსენია, სამსონ თხილავები, ალიოშა, თამარ ბოჭორიშვილები იუწყებიან კოსტა გეგუჩაძის შვილის
პატარა ზაურის
გარდაცვალებას. 6517

შვილები კლიმენტი, სერგო, რძლები ცუცქა, მერი, მარო, შვილიშვილები თინა, მარგო, სიძე რაფიელ ბარათაშვილი შვილებით იუწყებიან
ლიზა აფრასიონის-ასულ გრიგოლიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. საჯილაოში. 6518

კონსტანტინე ნიკოლაძე მეუღლით ოლღათი, შვილებით ელისაბედით, იაკობით და ანათი, რძლით დონათი, სიძით გიორგი აბზიანიძით, შვილიშვილებით იუწყება რძლის
ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის
გარდაცვალებას. 6507

მეუღლე ივანე რომანის-ძე ხვედელიძე, შვილი კაკო იუწყებიან
მარო სოფრომის-ასულ მამალაძე-ხვედელიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29/V 7 ს. გამოსვენება 30/V 3 ს. დავითაშვილის, 8. 6514

საქ. განსახკომი, დაწყ. და საშ. სკოლ. მუშ. პროფკავშირის ც. კ. იუწყებიან გორის რაიონის ტყვიავის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის დამსახურებული ორდენოსანი მასწავლებლის
ნინო კორინთელის
გარდაცვალებას. 177

ბიძაშვილები კოლია, გოგოლა, ალიოშა, შუშუნობა ოჯახებით, ვასილ, აკაკი, ანეტა შარაშიძეები იუწყებიან
ბაბო დავითის-ასულ შარაშიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/V ბუკისციხეში. 6494

ქსენია, ვალიკო და კაკო ცნობილაძეები, ლუბა და გალაქტიონ შარაშიძეები იუწყებიან დეიდის
ბაბო დავითის-ასულ შარაშიძის
გარდაცვალებას. 6515

ნადია მენაბდისა, თამარ გაჩავასი ქმარშვილით იუწყებიან დედის
ეფროსინე ილარიონის-ასულ ნოზაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/V 7 ს. გამოსვენება 28/V 5 ს. შავიზღვის, 13, პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 6495

მშობლები ოლია, კოსტა, ბებია მაშო, ბაბუა გიორგი გეგუჩაძეები, ბებია კატო, ბაბუა ივანე გოგუაძეები იუწყებიან
პატარა ზაურის (გიორგი)
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/V 5 ს. მარის 22. ვაკის სასაფლაოზე.

მარიამ კეცხოველი შვილებით, რძლებით, სიძით და შვილიშვილებით იუწყება ძალუის, ორდენოსან მასწავლებლის
ნინო დავითის-ასულ კორინთელის
გარდაცვალებას. 6510

თულაშვილი, ვარსიმაშვილი, სუპატაშვილი, ოქროპირიძე, ნოვიცკაია, ხვედელიძე, ლოზოვოი, ჰაჯიბეილი, კანკავა, ალხაზიშვილი იუწყებიან ირაკლი ბათიაშვილს დის
ნინოს
გარდაცვალებას. 6512

ქმარი აკაკი აკობია, დედა ელენტი, და ნინო, ძმები დავით, კონსტანტინე იუწყებიან, რომ 30/V ქვედა-სიმონეთში დანიშნულია
ლიზა გრიგოლის-ასულ მაჩიტიძე-აკობიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 6493

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის სავაქცინო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან
ბაბულია შარაშიძის
გარდაცვალებას. 6504

მშობლები სარქისა, მანია, და ლენა, ბიძა არტაშა, ძალო ნინო, ბიძაშვილები შურა, ედმონდი, მაკრო, დეიდები: ანა, ნადია, ასია მწუხარებით იუწყებიან
გოგი (გიორგი) სარქისას-ძე მდივანოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/V, 4 ს. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის პროზექტურიდან, (კამოს ქ. № 3). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

რუზანა და ვალერიან ხატიაშვილები შვილებით თანაგრძნობას უცხადებენ ს. მდივანოვს მისი შვილის
გოგი მდივანოვის
უდროოდ გარდაცვალების გამო.

საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის დირექცია, ალკკ კომიტეტი და პროფკომი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის პირველი კურსის ვეტფაკულტეტის სტუდენტის
გიორგი სარქისის-ძე მდივანოვის
გარდაცვალებას.

მშობლები ვალიკო, ელიკო, ბებია ანეტა გოგიბერიძეები, თამარ, მარიამ ჯარიაშვილები იუწყებიან პატარა
ელვას
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/V 5 ს. ბაქრაძის, 12. 6511

ა. სარაძე, ლ. გოკიელი, ვ. კუპრაძე, ი. ვეკუა, დ. დოლიძე, ა. გორგიძე, ა. რუსაძე იუწყებიან
ოლღა ალექსანდრეს-ასულ ნიკოლაძის
გარდაცვალებას.

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის არაორგანიული ქიმიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კათედრის გამგის პროფ. რ. ნ. ნიკოლაძის დედის
ოლღა ნიკოლაძის
გარდაცვალებას. 6516

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—91—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1424